

საბუა

№3(195)

მარტი

2012

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე



ანგელოზმან თეფლისმან ახარა ქალწულ მარიამს!

ადამიანი – მსოფლიოს მერვე საოცრება?

ანტიკურ სამყაროში შვიდ საოცრებას აღიარებდნენ: ხეოფსის პირამიდა, არტემიდას ტაძარი ეფესოში, ალექსანდრიის შუქურა, პალიკარნასის მავზოლეუმი, ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში, როდოსის კოლოსი და ბაბილონის დაკიდული ბალები. 2007 წლის 7 ივლისს, პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში დასახელდა თანამედროვე მსოფლიოს შვიდი საოცრება, რომელთა შორის მოხვდა: ჩინეთის დიდი კედელი, ქალაქი პეტრა იორდანიაში, ქრისტეს ქანდაკება რიო-დე-ჟანეიროში და კოლოსეუმი (სინამდვილეში, ამ „ახალ სასწაულთაგან“ ზოგიერთი ანტიკურია). გაჩნდა სურვილი, რომ დაედგინათ მსოფლიოს ბუნების შვიდი ახალი საოცრება. 2011 წლის 11 ნოემბერს საჯაროდ გახდა ცნობილი ბუნების ამ შვიდი საოცრების სია (სავარაუდო), ეს იყო მსოფლიო შკალაზე ხმების დათვლით მიღებული შედეგი. სია, რომელიც მრავალთათვის მიუღებელი და საკამათოა, შემდეგნაირად გამოიყურება: ამაზონის ტყეები; ჰალონგის ყურე ვიეტნამში; სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიისა და არგენტინის საზღვარზე, იგუასუს ჩანჩქერი; ჯეჯუს კუნძული სამხრეთ კორეაში; კომოდოს ეროვნული პარკი ინდონეზიაში; პუერტო პრინცესას მიწისქვეშა მდინარე ფილიპინებში და მთათა სისტემა სამხრეთ აფრიკაში. მაშინ როცა ანტიკური საოცრებები ცალკეულ პირთა მიერ შეირჩა, მათ შორის, პეროდოტესა და ფილონე ბიზანტიელის მიერ, დღეს უკვე შედეგები სახალხო შერჩევის გზით მიიღეს, უფრო დემოკრატიული და ობიექტური ფორმით; თუმცა სინამდვილეში ამ არჩევანზე იმოქმედა ხმის მიმცემთა რიცხვობრივმა ზეწოლამ და ნაციონალისტურმა სიამაყემ. გარდა მასმედიისა და შოუბიზნის ასპექტებისა, ადამიანის ხელით შექმნილიდან ბუნების სამკაულებზე გადასვლა აშკარად მიანიშნებს იმ ტკბობასა და აღფრთოვანებაზე, რასაც ოდითგანვე განიცდიდა ადამიანი ბუნების საოცრებათა წინაშე, მისი ტრანსცენდენტული ხედვისას. „ბუნება ჩემს გენიაზე უფრო გენიალურია“, – დასძენდა გოეთე; ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება, დროის ხანგრძლივ პერიოდში, ხელთუქმნელ შედეგებს წარმოქმნის: ჩამოყოფილი კირიანი წყლის წვეთებისაგან ბნელ მღვიმეებში საოცარი რუდუნებით გაჩენილი სტალაქტიტები და სტალაგმიტები; მწველი სინითლე, რომელიც გავარვარებული ვულკანის გულში ათასობით ძვირფას ქვას ფორმას აძლევს, ან ის მონდომება, რითაც ზღვა კლდოვან ნაპირს ეხეთქება და ულამაზეს ყურეს, მღვიმეს, ან კონცხს წარმოქმნის; ან ქარი, რომელიც ფორმას აძლევს უკიდევანო უდაბნოში ცხელი ქვიშის დიუნებს; ანდა სიცოცხლე, რომელიც ასე ჩქეფს გაუვალ ტყეებში...

ერთი მხრივ, არის ხელოვნება და ტექნოლოგია, მეორე მხრივ, კრეაციონიზმი და ბუნებით აღმაფრენა, თუმცა, რატომ არ უნდა დაფიქრდეთ იმ საოცრებაზე, რასაც შეიძლება წარმოადგენდეს თავად ადამიანი? რატომ არ უნდა მივიჩნიოთ ადამიანი მსოფლიოს მერვე საოცრებად? რატომ არ შეიძლება გამოვყოთ ადამიანში შვიდი ყველაზე ლამაზი ნაწილი, ან მისი ყველაზე ლამაზი მხარე? ვილაცამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს ისედაც ცხადია, ისედაც ბუნებრივია, რომ ადამიანი საოცრებათა საოცრებაა, და რომ ამის საჭიროება ნამდვილად არ არსებობს. მაგრამ მაინც, ადამიანი თავისი ცხოვრებით, თავისი რესურსით, თავისი ემოციებით ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, დამცირებისა და მანიპუ-

ლაციის საგნად იქცევა. მოდით, დაფიქრდეთ: მსოფლიოში, ყოველი მეხუთე ორსულობა, რომელიც შეიძლება ადამიანის შვიდ საოცრებაში მოხვდეს, აბორტით სრულდება. 2008 წელს, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 44 მილიონი ორსულობის შეწყვეტის ფაქტი დარეგისტრირდა, მათ შორის 49% – არა-ლეგალური. რომელ ომს მოუტანია ამგვარი მსხვერპლი? ძალიან უცნაურია, ყველა სახის კონტრაცეპტივების ფართო პროპაგანდის მიუხედავად, რასაც აბორტის დამარცხების ყველაზე იოლ გამოსავლად მიიჩნევენ და იყენებენ, ლამის უცოდველი ხმით აცხადებენ, რომ აბორტები მსოფლიოში არ მცირდება, უფრო მეტიც,... კიდევ უფრო სავალალოა ის ფაქტი, რომ არ არსებობს შეგნება ჯერ არშობილი სიცოცხლის ღირსებისა. მისი დეფიციტი კვლავ და კვლავ გამოსჭვივის მულტინაციონალური ორგანიზაციებიდან, ფარმაცევტული სახლების არჩევანიდან, სიცოცხლის სხვადასხვა ფაზის – ჩასახვიდან სიკვდილამდე – დაცვის მიზნით შექმნილი კანონპროექტებიდან, დაავადებული ან მდებარეობით სქესის ნაყოფის მოცილებიდან, სამეცნიერო კვლევებიდან; იშვიათად როდი გვესმის, რომ ამა თუ იმ ცნობილმა პიროვნებამ მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ძალს ან კატას; ან: ამა თუ იმ ქალაქში, ურნაში იპოვეს ახალშობილი.

სასონარკვეთილი ქალბატონი თავის გინეკოლოგთან მიდის და ეუბნება: „ექიმო, უნდა დამეხმაროთ, დიდი პრობლემა მაქვს, ძალიან სერიოზული... ჩემი შვილი ერთი წლისაა არ არის და უკვე ორსულად ვარ. ჯერ არ მინდა შვილი, რამდენიმე წლის მერე კი ვნახოთ.“ მაშინ ექიმი ეკითხება: „მე რა უნდა გავაკეთო?“ ქალბატონი მიუგებს: „მინდა, შევწყვიტო ეს ორსულობა და თქვენი დახმარების იმედი მაქვს.“ მაშინ ექიმი დაფიქრდება და შემდეგს ამბობს: „მე მგონი, ვიპოვე თქვენი პრობლემის გადაწყვეტის მარტივი გზა... ძვირფასო ქალბატონო, თქვენი პრობლემა რომ გადაწყდეს და ერთმანეთის მიყოლებით ორი ახალშობილი რომ არ გყავდეთ, მოდით, ის გავანადგუროთ, რომელიც ხელში გიჭირავთ, ასე ხომ 9 თვის მანძილზე, ვიდრე მეორე დაიბადება, უკეთ დაისვენებ. თუ მაინცდამაინც უნდა გავანადგუროთ, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი იქნება, ეს თუ ის, მით უფრო, ხელში რომ გიჭირავთ, მისი მოკვლა უფრო ადვილი იქნება, ვინაიდან ასე თქვენს ორგანიზმს საშიშროებაც არ დაემუქრება.“ აღშფოთებული ქალი ყვირის: „რას ამბობთ, ექიმო!!! ბავშვის მოკვლა ხომ დანაშაულია!!!“ ექიმი პასუხობს: „მეც თქვენსავით ვფიქრობ, მაგრამ თქვენ ძალიან დარწმუნებული ხართ, რომ მე ამაში დაგეხმარებით.“

აი, ასე მიახვედრა ექიმმა დედა, რომ არანაირი განსხვავება არაა მკერდზე მიხუტებულ ბავშვსა და მუცლად მყოფს შორის.

ჩვენთვის ყველაზე უმთავრესი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ადამიანი, მისით გაოცება. განა ადამიანს თავისუფლად არ შეუძლია დააფასოს და დაიცვას ბუნებისა და ხელოვნების ძვირფასი მარგალიტები? ნუთუ ამისათვის საჭიროა რეიტინგულ ჟურნალთა გარეკანზე წლის საუკეთესო ადამიანის ფოტოს განთავსება?

მამა გაბრიელე პრაგანტინი

საბა

მარხვის მნიშვნელობა

უწმიდესი პაპის 22 თებერვლის აუდიენცია



„ეს ორმოცი დღე არის გზა, რომელიც მაცხოვრის ვნების, სიკვდილისა და აღდგომის მოგონებებთან მიგვიყვანს. ეკლესიის პირველ ასწლეულში ეს იყო დრო, როდესაც ისინი, ვინც ისმინა და მიიღო უწყება ქრისტეს შესახებ, ნათლობის საიდუმლოსთვის მზადებას იწყებდნენ. ეს იყო მიახლოება ცოცხალ ღმერთთან, რომელიც თანდათან უნდა მომხდარიყო, ახლად მოქცეულთა შინაგანი გარდაქმნის გზით.

ვიდრე მსახურებას დაიწყებდა, იესო უდაბნოში განმარტოვდა, საკვებისა და სასმელის გარეშე. მისი საკვები ღმრთის სიტყვა იყო; ღმრთის სიტყვა იყო მისი იარაღიც, რომლითაც ეშმაკს სძლია.

ძვირფასო დებო და ძმებო! დაე, ამ ორმოცმა დღემ განაახლოს ჩვენი ძალები, რათა მოთმინებითა და რწმენით მივიღოთ ნებისმიერი სიძნელე და გამოცდა. რადგან ვიცით, რომ წყვილადიდან უფალი ახალ განთიადს შობს. თუკი ვიქნებით ქრისტეს ერთგულნი, კვლავ მოგვეცემა ნათელი ღმრთისა – ჭეშმარიტებისა და სიხარულის ნათელი“.

ქალადობის ტალღა კონგოში

2 თებერვალს, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გულის არეში დანით მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა კათოლიკე მონაზონი ლილიან მაპალაი. მკვლელობა კათოლიკურ სკოლაში მოხდა, სადაც მონაზონი მასწავლებლად მუშაობდა.



როგორც იტყობინება National Catholic Reporter, ქვეყნის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც გასული წლის არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები წარმოადგინა. არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, კინშასას მთავარეპისკოპოსმა და ქვეყნის სხვა იერარქებმა კონგოელებს მშვიდობიანი პროტესტისკენ მოუწოდეს. პოლიციამ დაარბია არასანქცირებული მიტინგები. დაკავებულია რამდენიმე დემონსტრანტი, მათ შორის, კათოლიკე მღვდლები და მონაზვნები არიან.

ლილიან მაპალაის მკვლელობის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ვარაუდობენ, რომ იგი შემთხვევითი მსხვერპლია, ნამდვილი სამიზნე კი სკოლის დირექტორი, საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე იყო.

„ახლა მთავრობა ეკლესიის წინააღმდეგაა განწყობილი. ეს იმის შედეგია, რომ ხალხთან ერთად ვართ. ამის გარეშე ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. მზად ვართ, ამას სიცოცხლე შევწიროთ“, – აცხადებს კონგოს კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთი წევრი.

საბა

„კათოლიკეებს ინდოეთში საფრთხედ მიიჩნევენ“

„ინდოეთის ექსტრემისტული ჯგუფები ქვეყანაში კათოლიკე ეკლესიის ზრდას საფრთხედ მიიჩნევენ და საკანონმდებლო დონეზე ქრისტიანთა უფლებების შეზღუდვას მოითხოვენ“, – განაცხადა სააგენტო Ucanews-სთვის მიცემულ ინტერვიუში კარდინალმა ჯორჯ ალენჩერიმ. იერარქმა აღნიშნა, რომ მართალია, ქრისტიანები ინდოეთში უმცირესობას წარმოადგენენ (კათოლიკეები ქვეყნის მოსახლეობის 1,9% შეადგენენ), მაგრამ მათი რწმენა და ერთობა შეიძლება მაგალითად იქცეს მთელი ეკლესიისათვის.

„რწმენის ხარისხი აქ ძალზე მაღალია, მორწმუნენი კი მზად არიან, ნებისმიერი საფასური გაიღონ იმისთვის, რომ კათოლიკეებად დარჩნენ. ვერ ვიტყვით, რომ ინდუსიტები შეუწყნარებელი ხალხია. მათი უმრავლესობა ჩვენთან მშვიდობასა და ჰარმონიაში ცხოვრობს. რელიგიური ექსტრემისტები სინამდვილეში წარმოადგენენ მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომლებიც პასუხს აგებენ ქრისტიანებზე თავდასხმებისთვის“, – აღნიშნა კარდინალმა.

ძრიატიანთა დევნის საკითხი გაეროს მორიგ ასამბლეაზე

სააგენტოს kipa/apic ცნობით, გერმანელი პოლიტიკოსები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანთა დევნის საკითხის განხილვას მოითხოვენ.

გაეროს გენერალურ მდივანთან, პან გი მუნთან შეხვედრი-სას, ბუნდესტაგში ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარემ, ფოლკერ კაუდერმა ხაზი გაუსვა ქრისტიანთა დევნის საკითხის განხილვის აუცილებლობას. მისი აზრით, ეს საკითხი პრიორიტეტული უნდა გახდეს გაეროს გენერალური ასამბლეის 66-ე სესიაზე.

საინფორმაციო სააგენტო FOCUS-თან საუბრისას, ფოლკერ კაუდერმა დაგმო ქრისტიანთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აქტები ინდოეთში, ინდონეზიაში, მცირე აზიასა და აფრიკაში.

ამ უმწვავეს საკითხს გვერდს არც ევროპარლამენტი აუვლის. ამჟამად მუშავდება მორიგი რეზოლუცია და მზადდება კონფერენცია, რომელიც ევროპის საზღვრებს გარეთ ქრისტიანთა დევნას მიეძღვნება. ევროკავშირის დიპლომატიური ურთიერთობები აქვს იმ მუსლიმურ ქვეყნებთანაც, სადაც არ ცხრება ქრისტიანთა დევნა. ამიტომ დიპლომატიურ დონეზე უნდა გახშიანდეს ამ ქვეყნებში ქრისტიანთა მიმართ პატივისცემის მოთხოვნა, ისეთი, როგორითაც სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმები.

ფიდელ კასტროს ეკლესიის წიაღში დაბრუნება სურს



ამის შესახებ მასმედიას კასტროს ქალიშვილმა, ელინა ფერნანდესმა ამცნო: „ბოლო დროს მამა რელიგიას დაუბრუნდა. ეს არც მაკვირვებს. იგი ხომ იეზუიტ მამებთან სწავლობდა, რომლებიც მუდამ ლოცულობდნენ მისი მოქცევისთვის“.

3

2

მართლაც, 1941-45 წლებში ფიდელ კასტრო იეზუიტთა კოლეჯის სტუდენტი იყო, თანაც წარჩინებული. 1959 წელს კი, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კუბაზე ყველა კათოლიკური სასწავლებელი დაიხურა, სამღვდლოება კი ქვეყნიდან განიძევნა. ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეები იოანე XXIII-საგან კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობების განყვეტასა და ფიდელ კასტროს განკვეთას ითხოვდნენ. პაპი იმით შემოიფარგლა, რომ 1962 წელს ფიდელ კასტრო ეკლესიიდან განკვეთა.

იტალიური გამოცემა La Repubblica იტყობინება, რომ, შესაძლოა, კუბაზე თავისი მომავალი ვიზიტის დროს, ბენედიქტე XVI-მ ფიდელ კასტრო კათოლიკე ეკლესიასთან სრულ თანაზიარებაში მიიღოს. ვიზიტი ამა წლის 23-28 მარტს შედგება.

„ღმერთი ელვისზე დიდია“



წელს „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიას ძალზე უჩვეულო სტუმარი ეწვევა, — მონაზონი დოლორეს ჰარტი. „ოსკარზე“ ნომინირებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ღმერთი ელვისზე დიდია“, რომელიც დედა დოლორესზე მოგვითხრობს.

ღმერთი რომ ელვისზე დიდია, დოლორეს ჰარტი არა პოპულარობის განულებსას, ან სიცოცხლის მიწურულს მიხვდა, არამედ კინემატოგრაფიული კარიერის მწვერვალზე. მისი კინემატოგრაფიული დებიუტი 1957 წელს შედგა, ფილმში „Loving You“, რომელშიც ელვის პრესლის უწევდა პარტნიორობას; მან სხვადასხვა როლი განასახიერა სტივენ ბოიდთან, ჯორჯ ჰამილტონთან, რობერტ ვაგნერთან ერთად; 1963 წელს ალფრედ ჰიჩკოკის „მდუმარე მონუმენტი“ ითამაშა, შემდეგ ჩაშალა ნიშნობა თავის საქმროსთან, ლოს-ანჯელესელ ბიზნესმენთან, დონ რობინსონთან, კონეკტიკუტის ქალაქ ბეთლემში გაემგზავრა და რეგინა ლაუდისის მონასტერში მონაზვნად შედგა, სადაც დღემდე ეწევა მსახურებას.



ნოზელის მშვიდობის პრემიის 2012 წლის ნომინანტი

აშშ-ს კონგრესის რამდენიმე წევრის ინიციატივით, ნოზელის მშვიდობის პრემიაზე ნომინირებულია კოპტი ქრისტიანი ქალი, ქაიროს უღარიბესი უბნების მკვიდრთათვის დაუღალავი მზრუნველი „დედა მეგი“ გობრანი.

„ქალბატონი მეგი გობრანი არის ქალი, რომელიც მუხლმოუხრელად იღვწის ეგვიპტის ყველაზე გაჭირვებულ მკვიდრთათვის, განსაკუთრებით მცირეწლოვანთათვის“, — ნათქვამია კონგრესმენთა ნოზელის პრემიის კომიტეტისადმი მიმართულ წერილში.

მეგი გობრანი არის დამაარსებელი ორგანიზაციისა „სტეფანეს ბავშვები“, რომელიც ქაიროს უღარიბეს ოჯახებსა და ზემო ეგვიპტის სოფლის მოსახლეობას უწევს დახმარებას.

„სწორედ „დედა მეგის“ ღრმა რელიგიურობისა და ზნეობრივ თვისებათა წყალობით გახდა შესაძლებელი ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ცხოვრებას შეუმსუბუქებდა ყველაზე ღატაკთ, სასონარკვეთილებსა და დაუცველებს“, — აღნიშნავს ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი.

ამ დროისთვის ორგანიზაციამ 25 000 ოჯახს გაუწია დახმარება. „სტეფანეს ბავშვებს“ განხორციელებული აქვს სამედიცინო და საგანმანათლებლო მიმართულების მრავალი პროექტი. ორგანიზაციის მიერ დაარსებულია 80 კლინიკა, 80 სასწავლო და 5 პროფესიული ცენტრი.

სიახლეები უკრაინის კათოლიკურ უნივერსიტეტში



„წელს ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე ბევრი ამოცანაა: უნდა დავწეროთ ახალი სამაგისტრო პროგრამები, გავხსნათ სტუდენტური კოლეგიუმი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა“, — აღნიშნა უნივერსიტეტის პირველმა პრორექტორმა ტარას დობკომ.

„გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ადამიანებს, რომელთაც თავი ღმრთისმეტყველებას მიუძღვნეს. მინდა ხაზი გავუსვა ამ უნივერსიტეტის არსებობის მნიშვნელობას ჩვენი ეკლესიისათვის. მადლობას ვუხდის სტუდენტებს, რომელთაც თავისი მომავალი ამ უნივერსიტეტს მიანდეს. ყველას გთხოვთ, ვაშენოთ ჩვენი ეკლესია და ჩვენი საზოგადოება ისე, როგორც უფალი მოგვინოდებს“, — თქვა თავის მისასალმებელ სიტყვაში ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის პატრიარქმა.

ორბანოების დონორობა – ღრმად ქრისტიანული აქტი

უელსის კათოლიკე, მართლმადიდებელი და ანგლიკანური ეკლესიების ლიდერებმა ორბანოებისა და ქსოვილების დონორობასა და ტრანსპლანტაციას „ღრმად ქრისტიანული აქტი“ უწოდეს. 8 თებერვალს იერარქებმა ხელი მოაწერეს საგანგებო ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ გარდაცვლილის ნათესავთა თანხმობა მისი ორგანოების ტრანსპლანტაციაზე არის სიყვარულის გამოვლინება იმ ადამიანის მიმართ, ვისაც ამგვარი გადაწყვეტილება სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

დეკლარაციაში ასევე ნათქვამია, რომ გარდაცვლილის ნათესავები სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ თავიანთ გადაწყვეტილებაში, ხელისუფლებამ კი უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მედიცინის ამ დარგში ადგილი არ ჰქონდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. იერარქებმა ხაზი გაუსვეს „ორგანოთა დონორების რეესტრის“ არსებობის მნიშვნელობას, რადგან ამგვარი რეესტრი ხელს უწყობს მეტ გამჭვირვალობას და აადვილებს ბიუროკრატიულ პროცედურას.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ლურდის ღვთისმშობლის დღესასწაული წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში

ყველაფერი დიდი ხნის წინ, 1858 წლის 11 თებერვალს დაიწყო...

მენისქვილის ქალიშვილი, თოთხმეტი წლის ბერნადეტა სუბირუ, უმცროს დასთან და მეზობელ გოგონასთან ერთად, ფიჩხის შესაგროვებლად წავიდა ტყეში, ლურდის მახლობლად, მდინარე გავის ნაპირთან. მალე ისინი მიუახლოვდნენ კლდეს, რომლის ძირშიც პატარა მღვიმე იყო. ბერნადეტა ჩამორჩა თანამგზავრებს და მღვიმის წინ აღმოჩნდა. რაც შემდეგ მოხდა, ბერნადეტამ ასე აღწერა: „ავიხედე ზემოთ და დავინახე, რომ მღვიმის შესასვლელთან ასკილის ბუჩქის ტოტები, თითქოს ქარისგან, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს ირხეოდა; ამ ტოტების უკან, მღვიმის სიღრმეში, ახალგაზრდა, თეთრი კაბით მოსილი, ნათლის სხივებში



გახვეული, არაამქვეყნიური სილამაზის ქალბატონი იდგა, არცთუ ჩემზე მაღალი. მან თითოთ მანიშნა და მეც მივუახლოვდი მას. გრძელი თეთრი კაბა ფარავდა მის სხეულს, მხოლოდ შიშველი ტერფები მოუჩანდა. კაბა კისერთან იყო ნაოჭაყრილი, თეთრი ვუალი უფარავდა სახეს; გრძელი მოსასხამი, რომელიც თითქმის მინამდე ეშვებოდა, მხრებზე ჰქონდა მოსხმული. ფეხის ტერფებზე ყვითელი ვარდები ედო; ცისფერი სარტყელი, რომლის ბოლოებიც მუხლებს ქვემოთ ეშვებოდა, წელზე ჰქონდა შემორტყმული. კრიალოსნის ძაფი ოქროსფერი იყო, ხოლო თვით კრიალოსანი — დიდი და თეთრი, რომლის ცალკეული მძივის მარცვლები ერთმანეთისგან დიდად იყო დაშორებული....“

ამ დღის შემდეგ, კიდევ ჩვიდმეტჯერ გამოეცხადა იმავე წელს გოგონას ღვთისმშობელი მარიამი...

25 მარტის გამოცხადებისას, ბერნარდეტას თხოვნაზე, გაემხილა თავისი სახელი, ქალბატონმა უპასუხა: „მე ვარ უმანკო ჩასახვა.“

1876 წელს ამ ადგილას აიგო ტაძარი.

1866 წელს ბერნადეტა მოწყალების დების საზოგადოების წევრი გახდა. იგი რელიგიურ ცხოვრებასა

და ქველმოქმედებას ეწეოდა. 1877 წელს ბერნადეტა მონაზვნად აღიკვეცა. ორი წლის შემდეგ, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, იგი გარდაიცვალა.

1909 წელს გაკეთდა მისი სხეულის ექსგუმაცია. თვითმხილველების თქმით, „მასზე არ იყო არანაირი კვალი თუნდაც მცირედი ხრწნისა, არც არასასიამოვნო სუნი.“

დღესაც ბევრი ადამიანი მიდის ლურდში განსაკურნებლად და იკურნება კიდევ. რაც შეეხება საოცარ განკურნებას, დღეისათვის კათოლიკურ ეკლესიას უკურნებელი სენისაგან განკურნების 67 შემთხვევა აქვს დაფიქსირებული.

1992 წელს, პაპ იოანე პავლე მეორის გადაწყვეტილებით, 11 თებერვალს აღინიშნება აგრეთვე სწეულთა მსოფლიო დღე, ლურდის ღვთისმშობლის გამოცხადებასთან და-

კავშირებით. ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ავადმყოფთა საჭიროებებს, მათთვის გულმოდგინედ ლოცვას. ამასთანავე, პატივს მიაგებენ ყველას, ვინც ჯანმრთელობის სამსახურშია, ვინც ეხმარება სწეულთ.

ამა წლის 11 თებერვალს, ქ. თბილისის წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესიაში აღინიშნა ლურდის ღვთისმშობლის დღესასწაული და სწეულთა მეოცე მსოფლიო დღე. სადღესასწაულო წირვას უძღვებოდა მამა აკაკი ჭელიძე. მან თქვა, რომ ადამიანი შეიძლება იყოს სწეული როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. მაგალითისთვის, შეგვახსენა ამბავი ლუკას სახარებიდან ათი კეთროვანი კაცის შესახებ. აღნიშნა, რომ ფიზიკურად ყველა მათგანი განიკურნა. მათგან მხოლოდ ერთი სამარიელი კაცი დაბრუნდა მადლობის სათქმელად — ღმრთის სადიდებლად. შემდეგ ახსნა, რომ ეს კაცი არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სულიერადაც განიკურნა, რაც სრულ გამოჯანმრთელებას ნიშნავს. ამას მოწმობს იესოს სიტყვები სახარებიდან: „ადექი და წადი! შენმა რწმენამ გიხსნა“.

მამა აკაკიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ

► 633.

◀ 533.

ლმერთის წყალობა უხვია. იგი როდი მიუხურავს კარს თავის რომელიმე შვილს, არამედ ელის, ეძებს, მოუხმობს მას, ვისაც, შიშისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, ჩაკეტილი აქვს გული და მას მიტევებას, პერიგებასა და ტანჯვის შემსუბუქებას ჰპირდება.

ამასთანავე, იგი არ ამტკრევს იმ ადამიანთა გულის კარებს, რომელთაც შეგნებულად აქვთ ის ჩაკეტილი. ამით ღმერთი პატივს სცემს მათ ნებასურვილს. ამიტომ გვმართებს დაფიქრდეთ, თუ რა გვსურს, მხოლოდ ფიზიკური განკურნება თუ სრული გამოჯანმრთელება. მეორეს არჩევის შემთხვევაში, უნდა ვეზიაროთ ღმერთს, რაც აღსარების თქმაში გამოიხატება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ არა მარტო საკუთარ განკურნებაზე უნდა ვიზრუნოთ, არამედ დაფიქრდეთ სხვა ადამიანთა განცდებზე – ტკივილზე, მწუხარებაზე, ტანჯვაზე, წვალეობაზე. შევთხოვოთ ღმერთს მათი განკურნება; ამით უფრო შეგვიმსუბუქდება ჩვენი ტკივილი. დადგენილია კიდევ ერთი საიდუმლო – სწეულთა ზეთისცხება. წირვის დროს შესრულდა ზეთისცხების რიტუალი. მღვდელმა ხელები დაასხა სწეულთ, შემდეგ სცხო მათ ზეთი შუბლსა და ხელებზე, სიტყვებით: „ამ წმინდა ცხების წყალობით, შეგენიოს შენ უფალი მად-

ლითა სულისა წმიდისა და ცოდვათაგან განგკურნოს მონყალედ“.

მამა აკაკიმ მოუწოდა მრევლს, ელოცათ ავადმყოფთათვის, აგრეთვე ჯანდაცვაში მოღვაწე ადამიანთათვის და მათთვის, ვინც რალაციით ეხმარება სწეულთ. ბოლოს გვამცნო, რომ 2013 წელს სწეულთა მსოფლიო დღე აღინიშნება გერმანიაში, პაპ ბენედიქტე XVI-ის სამშობლოში.

წირვის დასასრულს, განსაკუთრებულად მოხსენიებულ იქნა წმინდა კამილოს ორდენის დამაარსებელი ნეტარი დედა ჟოზეფინა ვანინი, რომლის გარდაცვალებიდან ასი წელი შესრულდა. აღინიშნა მისი დიდი ღვაწლი ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მიმართ. ყოველ სწეულში, ისევე როგორც წმ. კამილო, იგი უფალ იესო ქრისტეს ხედავდა. მის გამო არაფერზე უკან არ იხევდა; ავადმყოფისთვის ის დროსაც დახარჯავდა და სიცოცხლესაც გასწირავდა დაუფიქრებლად. დედა ჟოზეფინას მოწოდება იყო: „არასდროს მოითხოვო უფლება, მუდამ მოვალეობას მიანიჭე უპირატესობა და იყავი მოკრძალებული.“

დღესასწაულმა ტკბილ სუფრაზე გადაინაცვლა, სადაც მორწმუნეები თავიანთ აზრებს უზიარებდნენ ერთმანეთს.

მანანა გიჟოშვილი

პირველი

რჯულის კანონით დადგენილ ვადაში – მეორმოცე დღეს, ქალწულმა მარიამმა ჩვილი იესო ტაძრად წარადგინა და ღმერთს შესწირა, როგორც ამას მოსეს კანონი ითხოვდა და თვითონაც, თუმცა არ იყო ვალდებული, მაინც შეასრულა განწმენდის წესი.



2 თებერვალი –

მირქმა, ეკლესიის ტრადიციით, აღინიშნება, როგორც ღმრთისადმი შეწირულთა – ბერ–მონაზონთა დღე. მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში დილიდანვე დიდი სამზადისი იყო: ეკლესია სათანადოდ დალაგდა, ყვავილებით მოირთო, ლიტურგიის შესაბამისად მომზადდა სასულიერო პირთა სამოსელი.

წმიდა წირვაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში

ლესიის ეზოში დაიწყო, კერძოდ, მირქმის გამომსახველ, მოზაიკით შესრულებულ ფრესკასთან, სადაც იკურთხა და აინთო სანთლები, შემდეგ კი სამღვდლო დასი და მრევლის წევრები, მგალობელთა გუნდის ჰანგების თანხლებით, ტაძარში შევიდნენ. ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ჩვეული სიმდაბლითა და სიყვარულით უძღვებოდა წმ. წირვას.

სიტყვის ლიტურგიაზე გახმიანდა მალაქია წინასწარმეტყველის სიტყვა, სწორედ მალაქია იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც იწინასწარმეტყველა უფლის მოსვლა: „აჰა, მოვალენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას ჩემს წინაშე... აჰა, მოდის“ (მალ.3,1). შემდეგ ფრაზა 23–ე ფსალმუნიდან: „ვინ ავა უფლის მთაზე?.. ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი“ (როგორც ჩვენს ბერ–მონაზვნებს).

საკითხავს ლუკას სახარებიდან მოყვა მონსინიორ ფილიპო ჩამპანელის მეტად შთამბეჭდავი ქადაგება, რომელიც, ძირითადად, ბერ–მონაზონთა ცხოვრების წესს, მორჩილებას, სინმიდესა და მათ შეწირულ ცხოვრებას ეხებოდა.

ქადაგების დასრულებისთანავე, ბერ–მონაზვნებმა განაახლეს თავიანთი აღთქმები და თითოეული კონგრეგაციის წარმომადგენელმა წაიკითხა ლოცვა თავის მშობლიურ ენაზე. ილოცეს აგრეთვე და მონიკაზე,

რომელსაც მონაზვნური ცხოვრების ოცდახუთი წელი შეუსრულდა.

აღვლენილი ლოცვების შემდეგ, ოთხმა მონაზონმა საკურთხეველთან მიიტანა და ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს მიართვა ზეთის ლამპარი და ანთებული სანთელი, ნიშნად უფლის არსებობისა ჩვენს შორის; პური და ღვინო – ვაზის მტევნის ნაჟური – ნიშანი ევქარისტიისა, უფლის მიერ დაწესებული, მის მოსაგონებლად.

წმ. წირვის დასრულების შემდეგ, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მრევლის გოგონებმა ბერ–მონაზვნებს მიართვეს მცირედი ძღვენი – ანთებული სანთლები და ყვავილები.

დასასრულს ყველანი მიიპატიჟეს თავად მონაზვნების მიერ მომზადებულ ტკბილ სუფრაზე.

თინათინ კოკოჩაშვილი, ნატალია გიგვავა
(კათედრალური ტაძრის კატეხისტები)

ერთი დღე ბაკურიანში

ვალეს საკრებულოს ახალგაზრდები 4 თებერვალს ბაკურიანისკენ გავემგზავრეთ. ვიცოდით, რომ კიდევ ერთი დაუფინყარი დღე გველოდა. გამგზავრების წინ, ყველამ ერთად ვილოცეთ, რათა მშვიდობიანად გვემგზავრა.

მოვიდა გამგზავრების დროც. გზაზე ჩვენს თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაიშალა. დათოვლილი ტყის ნახვას არაფერი სჯობდა, რაც უფრო წინ მივიწევდით, არემარე მით უფრო ლამაზი და თვალწარმტაცი ხდებოდა. თავი სიზმარში გვეგონა. ზემოდან

გადმოვყურებდით დათოვლილ სოფლებს, ისეთი ლამაზი იყო ყველაფერი, რომ მისი ყურება არასოდეს მოგბეზრდებოდა.

ბაკურიანში, წინა დღეებისაგან განსხვავებით, მშვენიერი ამინდი დაგვხვდა, ცაზე აქა-იქ ჩანდა ღრუბლის ნაფლეთები, არემარე თოვლის თეთრ საბურველში გახვეულიყო. შეუძლებელია, აღწერო ბუნების ის უმშვენიერესი, მომაჯადოებელი სურათი, რომელიც ჩვენს თვალწინ გადაიშალა. ამ საჩუქრისათვის მადლობა შევწირეთ ღმერთს.

შეუძლებელია იმ ემოციების

დამალვა, რაც ახალგაზრდებმა თოვლზე სრიალისა და გუნდაობის პირველივე წუთებიდან ვიგრძენით. ბევრი ვისრიალეთ, ვიგუნდავეთ, ამასობაში დავიღალეთ და კიდევ მოგვშივდა. იქვე ახლოს ერთი პატარა სასადილო ვნახეთ, სადილობის წინ, მამა ზურაბთან ერთად ვილოცეთ და გემრიელად მივირთვით ღვთისაგან ბოძებული საკვები.

ბაკურიანში შემთხვევით შევხვდით ჩვენს თანასოფელ გოგონებს და მათთან ერთად მშვენივრად გავერთეთ. დაბინდებისას კი შინისაკენ გავეშურეთ.



ვალეს საკრებულოს ახალგაზრდების სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო მამა ზურაბს, რომელიც ყოველთვის ჩვენს გვერდით დგას და ჩვენზე ზრუნავს, როგორც ჩვენი მშობელი. ღმერთმა ჯანმრთელობა, სულიერი მხნეობა და დღეგრძელობა მისცეს მას.

მამა ზურაბ, მადლობა ამ მშვენიერი დღისთვის, რომელიც ჩვენს გვერდით გაატარეთ. უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

ვანო ხითარაშვილი

25 თებერვალი — სიცოცხლის დღე

სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა

ყოველ ადამიანს აქვს დაბადების, განვითარების, სიცოცხლის უფლება. „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. (საქ. კონსტიტუცია, მუხ. 15) იგი უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს მიეკუთვნება. თუმცა საყურადღებოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, კონკრეტულად როდის წარმოიშობოდა სახელმწიფოს ვალდებულება მის დასაცავად. ეს ვალდებულებ კი სწორედ იმ მომენტიდან უნდა იწყებოდეს, როცა განაყოფიერების შედეგად ემბრიონი წარმოიქმნება. რადგან მას, ჩასახვისთანავე, ღირსებასთან ერთად, სიცოცხლის უფლებაც გააჩნია. მეცნიერული კვლევების შედეგად, დამტკიცდა, რომ ჩასახვის მომენტიდან ადამიანის ემბრიონი ატარებს ინდივიდისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს. ამიტომ განსაკუთრებით მძიმეა, როდესაც დაუბადებელ და დაუცველ სიცოცხლეს ხელყოფენ.

აბორტის თემა საუკუნეების მანძილზე იყო და არის განსჯისა და ბჭობის საგანი. საზოგადოებას, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება გააჩნდა. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის საკითხი მედიცინისა და სამართლის ურთულესი პრობლემაა. სირთულის არსი კი ნაყოფისა და დედის ინტერესების შეუთავსებლობაში მდგომარეობს. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის განსაზღვრული ნაყოფის უფლებრივი სტატუსი, კანონი აბორტის შესახებ კი მე-20 საუკუნის მონაპოვარია. დღესაც, 21-ე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო საკანონმდებლო სისტემა ვერ შეთანხმდა ერთ სამართლებრივ აქტზე. სხვადასხვა ქვეყანაში აბორტის ლეგალიზება თუ მისი დანაშაულად აღქმა სხვადასხვა სამართლებრივ ჭრილში მოიაზრება. ის, რაც ერთგან ნორმაა, სხვანაირად კანონსაწინააღმდეგოა. ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედება ერთ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოექცეს და კანონი მას ყველგან ერთნაირად უნდა არეგულირებდეს. რადგან სწორედ კანონის ლოიალურობა მრავალ მშობელს საშუალებას აძლევს, გაამართლოს შვილის მიმართ გამოტანილი არაადამიანური განაჩენი. განსა-



კუთრებით საგანგაშოა, როცა საქმე არასრულწლოვან დედებს ეხება. აბორტის ვერანაირი ლეგალიზება ვერ შეანელებს იმ ტკივილსა და სინდისის ქენჯნას, რასაც ქალი აბორტის შემდეგ განიცდის. ჩვილის აღზრდაზე უდიდესი პასუხისმგებლობა, გამოუცდელობა, ელემენტარული საარსებო პირობების უქონლობა ხშირად საკმარისი მიზეზია იმისათვის რომ, უდიდესი სიყვარულის აქტით ჩასახული პატარის საზიანოდ, მიიღონ სასტიკი გადაწყვეტილება. პარადოქსია: სიცოცხლის მისაღებად გამბედაობა არ ჰყოფნით, მის მოსასპობად კი ძალას პოულობენ.

ევროპაში არასრულწლოვნებს, ადვოკატის დახმარებით, მშობლების უჩუმრად, უფლება აქვთ, სამედიცინო დანესებულებაში ქირურგიული ჩარევით შეწყვიტონ ფეხმძიმობა.

ერთ პატარა კლინიკაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, 2000 აბორტიდან 200 არასრულწლოვანზე მოდის. ბევრი მათგანის მშობელს ამ ფაქტზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მიზეზი სხვადასხვა იყო. მცირე ნაწილს ამ ნაბიჯის გადადგმა ძალადობამ აიძულა, ზოგი მოულოდნელად აღმოჩნდა ამ სიტუაციაში, ზოგმაც გამოუცდელობას დააბრალა ყველაფერი. მიუხედავად იმისა რომ კანონი, რომელიც ექიმს სიცოცხლის მხარეზე დგომას სთხოვს, არ ეხმარება ახალგაზრდებს ფორმაციასა და ზრდაში, რადგან იგნორირებას უკეთებს მშობლის ფაქტორს. არადა, პირველი სწორედ მშობელი აღიქვამს

ამ ფაქტს მტკივნეულად; ყოველივეს შეტყობის შემდეგ, ისინი წერენ: გავიგე, რომ ჩემი შვილი დაფეხმძიმდა, ჩემი ტკივილი აუტანელი გახდა, როცა შევიტყვე, რომ მან აბორტი გაიკეთა.

მოძრაობა სიცოცხლის დასაცავად იბრძვის, რათა დაეხმაროს გოგონებს, რომლებმაც აბორტის გაკეთება გადაიფიქრეს. დახმარება მხოლოდ უფლებისა და დანაშაულის გამიჯვნა როდია. პასუხი ცალსახაა, თუმცა საუკუნეების მანძილზე რელიგია და მეცნიერება ვერ აღწევდა შეთანხმებას მორალურ სფეროში, გონება კი მუწჯი მოწმის სახით ფიგურირებდა და სწორედ ეს სიჩუმე იყო დიდი დანაშაული. პრობლემის გადასაჭრელად ხშირად მარტივი ქმედებების სისტემურობაც კი ახერხებს სინდისის ხმის გაღვიძებას... იტალიის ერთ პატარა სოფელში, როცა მღვდელი აბორტის შესახებ შეიტყობს,

გლოვის ზარს შემოკრავს; რატომღაც ეს ხშირად ოთხშაბათ დღეს ხდება, მაგრამ ეს მთავარი როდია. იგი ამას აკეთებს არა ყოველი ჩადენილი ცოდვის გამო, არამედ გასაფრთხილებლად, რომ წინასწარ გააცნობიერონ ცოდვის სიმძიმე.

ზარი რეკავს და მის ჟღერადობაში გაისმის არა სიბრალული, არამედ თხოვნა და გაფრთხილება, რათა ილოცონ იმ ბავშვებისთვის, რომლებიც უნდა დაბადებულიყვნენ, ან უნდა დაიბადონ. რადგან სიცოცხლე, თუნდაც განსხვავებული, ღვთის უდიდესი საჩუქარია.

ადამიანებს ხომ ხშირად უჭირთ იმ ყველაფრის მიღება, რაც მათ სრულყოფილად არ მიაჩნიათ. იციან კი მათ, რა არის სრულყოფილება?!

იქნებ, ასეთი, განსხვავებული ადამიანები ყველაზე მეტად არიან მზად სიცოცხლისათვის და ყველაზე კარგად იციან მისი ფასი. ფუჭი არ არის მათი ცხოვრება,

ნიკო ჟღენტ

სიმონა ატზორი: „ღმერთმა ხელების გარეშე ჩამიფიქრა და მე მისთვის ვცეკვავ“

სიმონა, ისინი შენთვის უფრო მეტად „ხელებია“ თუ ფეხები? როგორ უფრო გრძნობ მათ?

საინტერესო შეკითხვაა (იცინის). ამაზე არასოდეს მიფიქრია. ალბათ, უფრო მეტად ხელებია. რამდენიმე წელი კანადაში ვცხოვრობდი, იქვე დავამთავრე სკოლა. მეუბნებოდნენ, რომ ნამდვილად იტალიელისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტით გამოვიჩნეოდი. ისინი გაცეხული იყვნენ, როცა ხედავდნენ, თუ როგორ ვმართავდი მანქანას: ერთი ფეხი მუხრუჭზე მედო, მეორე „ხელი“ კი საჭეზე.

რა რეაქცია ჰქონდათ შენს მშობლებს, როდესაც პირველად დაგინახეს?

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ექოსკოპია; ამიტომ მათთვის ეს მოულოდნელი იყო; არ ვიცი, რა ვთქვა. პირველი ორი მშობიარობა დედაჩემისთვის ცუდად დამთავრდა, ამიტომაც დაარქვეს მესამე მშობიარობის შედეგად დაბადებულ ჩემს დას joia (სიხარული). შემდეგ მე გავჩნდი და დედას საშინლად ეშინოდა ჩემი დაკარგვის. როდესაც, საკეისრო ოპერაციის შემდეგ, ექიმების დაბნეული სახეები დაინახა, რომლებიც პატარას არ აჩვენებდნენ, ცუდად გახდა. შემდეგ კი გაიგო, რომ სრულიად ჯანმრთელი და უვნებელი ვიყავი, მხოლოდ ხელის კიდურები არ მქონდა. მშობლები მაშინვე საქმეს შეუდგნენ: შემასწავლეს კოვზის დაკავება პანანინა ფეხის თითებით. ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, დედა თურმე ოცნებობდა, რომ ბალერინა გავმხდარიყავი, თავის წარმოსახვაში სცენაზეც მხედავდა: მისი სურვილი ჩემი ცხოვრების უმთავრეს გასაღებად იქცა. მისი პოზიტიურობა იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ ყველა ჩვენგანს დაეხმა-

პირიქით, ძალზე ძვირფასია, რადგან ხშირად ისინი გვიცხადებენ საკუთარი გულითა და თვალებით დანახულ უამრავ სასწაულს, სწორედ ისინი გვასწავლიან სიყვარულს უსუსურისადმი, მოთმინებას მათდამი, ვინც ბუნებამ სხვაგვარად ჩაიფიქრა, დაუცველთა მეტად დაცვას; გვაძლიერებენ რწმენაში და გვაჩვენენ იმის დაფასებას, რასაც ცხოვრება გვაძლევს, გვიჩვენენ, არ ვინდომოთ ის, რაც ღმერთმა სხვას მიაკუთვნა.

დღეს საქართველოში ბევრს ფიქრობენ ამ პრობლემაზე და შეთანხმდნენ, რომ, „სიცოცხლის ფანჯრის“ გაღებით, ხელი გაუწოდონ და გადაარჩინონ უარყოფილი სიცოცხლე. ვფიქრობთ, ადამიანები ბევრ კეთილ საქმეს ჩაუყრიან საფუძველს და ყოველთვის და ყველგან იხეიმებს კიდევ ერთი გადარჩენილი სიცოცხლე!

რა ბედნიერების საიდუმლოს შეცნობაში. **რით დაგეხმარა ბალეტი ცხოვრებაში?**

ცეკვა, შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურადაც დამეხმარა, ფაქტობრივად, მე კი არ ამირჩევია ის, მან ამირჩია, ასევეა ხატვაც; ორივე კიდური მაძლევს იმის საშუალებას, რომ მთლიანად გამოვხატო ჩემი შინაგანი სამყარო.

ამჟამად რა „გაკლია სრული ბედნიერებისათვის“? შენ ხომ მწერალიც ხარ.

წიგნის სახელწოდებად ის კითხვა ავირჩიე, რასაც ყოველთვის ვუსვამ სხვებს. მე არაფერი მაკლია, ჩემს ცხოვრებაში არც თავის მართლებისთვის, არც რაიმე ალიბისთვის არ მიმიმართავს. ამიტომაც მინდა, ყველას ვუთხრა, რომ არ დანებდნენ გარეგან სირთულეებს, არასოდეს დაიხიონ უკან; შეიძლება რამე გაკლდეს კიდეც, მაგრამ მაინც შეგიძლია ბედნიერი იყო. ჟურნალგაზეთების გარეკანის ფოტოებზე ხშირად ხალხი ვერც კი ამჩნევს, რომ ხელები არა მაქვს, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს: ცხოვრებაში მთავარია, დატკბე იმით, რაც გაქვს და არ ინუნუნო იმაზე, რაც არა გაქვს. ბოლოს და ბოლოს, ყველას რაღაც აკლია, მასაც კი, ვისაც ხელ-ფეხი სრულ წესრიგში აქვს. მართალია, გარეგნული მხარე თვალში საცემია, მაგრამ თუ შინაგანად სიცარიელეს გრძნობ, ზეცაში დარჩენილი ორი კიდურით გამოწვეული ტკივილი კიდევ უფრო გაუსაძლისია.

როგორია შენი მესიჯი?

სიცოცხლე ღვთისგან ბოძებული არაჩვეულებრივი საჩუქარია და ფუჭად არ უნდა „გაიფლანგოს“. მე ვატარებ შეხვედრებს ბანკებში, სანარმოებში, სკოლებში, სადაც ხშირად ვსაუბრობ სხვადასხვა

◀ 933. ცხოვრებისეულ მოტივაციებზე; ყველ-
გან ვიმეორებ იოანე პავლე II-ის ფრა-
ზას: „ხელში აიყვანეთ თქვენი ცხოვრება და აქციეთ იგი
შედეგად“. სრულიად კონკრეტული ჭეშმარიტებაა,
როცა ბედნიერი ხარ იმით, რომ სიცოცხლის სახით ლა-
მაზი საჩუქარი გაქვს და გინდა, უფრო გააღამაზო იგი.
როდესაც ჩემს ამბავს ვყვები, თითქოს ზღაპარს ვყვები,
სინამდვილეში ეს „ჩემი“ ზღაპარია, ეს ნამდვილი ცხოვ-
რებისეული სპექტაკლია. ყოველ ჩვენგანს შეუძლია ასე

რალელური გზაა, მაგრამ ერთობლივი ზრდა.
**რატომ არ აღიარებ, რომ ხეიბარი ხარ? რატომ ფიქ-
რობ, რომ „ილბლიანი“ ხარ, ასეთად რომ დაიბადე?**
რადგანაც ეს ასეა. რას ნიშნავს ხეიბარი? ვინ არის
ხეიბარი და ვინ არა? ის, ვინც ჯანმრთელია, როდემდე
იქნება ჯანმრთელი? მთავარი ის როდია, ორი ხელი
გაქვს, თუ ორი თვალი; ხშირად სწორედ დაცემის დროს
აღმოაჩენ ცხოვრების აზრს, როგორც ამას მოწმობდა
ამბროჯიო ფოგარი, და როგორც ფიქრობდა გაფანტუ-

სიმონა ატზორი – იტალიელი
ბალერინა და მხატვარი, დაიბადა
1974 წლის 14 ივნისს. იგი ზედა კი-
დურების გარეშე მოვევლინა ქვეყა-
ნას, მაგრამ ამის გამო სულით არ
დაცემულა და ახალგაზრდობიდანვე
აქტიურად ჩაება კლასიკურ ბალეტ-
სა და მხატვრობაში. 2001 წელს ის
გახდა University of Western Ontario-ს
„ვიზუალური ხელოვნების“ ლაურე-
ატი. 1983 წლიდან იგი არის „პირითა
და ფეხებით მხატვარ ხელოვანთა
საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი.
უსმენ გულდასმით, დივანზე,
ბალიშებს შორის მჯდომარეს, და
უნებურად გაგიბრის თვალი მისი
მკლავებისკენ (თუ ეს ფეხებია?),
ხელების ჟესტიკულაციისკენ (თუ
ეს ტერფებია?), თითების სწრაფი
მოძრაობისკენ, როდესაც თავის
წიგნს შლის და იმ ფურცელს ეძებს,
სადაც წერია: „ესეც ასე. მე მოგიტხ-
რობთ ჩემს ისტორიას: 1974 წლის 18
ივნისს მოვევლინე ქვეყანას; ჩემმა
მშობლებმა ხელში ამიტატეს და არა
მხოლოდ „თანხმობა განაცხადეს“



სხვაა იმის შეგრძნება, რომ ვილა-
ცას უყვარხარ“. სიმონა ატზორს

უკვე მსოფლიოს რამდენიმე სცე-
ნაზე მოუხდა გამოსვლა; იგი მონა-
წილეობდა ლა სკალაში დადგმულ
ბალეტში „რობერტო ბოლე და მისი
მეგობრები“, საიუბილეო 2000 წელს
კი – პესკარის ცეკვის ფესტივალში;
ამ მოვლენასთან დაკავშირებით, და-
წესდა მისი სახელობის პრემია; მან
მონაწილეობა მიიღო 2006 წელს,
ტურინში, ზამთრის ოლიმპიური
თამაშების გახსნის ცერემონიაში...
თუმცა მრავალთათვის იგი „უხე-
ლოდ დაბადებულ მოცეკვავედ“
რჩება. „ისინი ზეცაში დარჩნენ“,
– მშვიდად ამბობს სიმონა. ოთახ-
ში იატაკზე აწყვია დიდი ტილოები,
რომლებიც მომავალ გამოფენას
ელიან.
სრული სიმშვიდით საუბრობს,
„ხელებს“ იშველიებს, მერე კალთა-
ზე შემოიწყობს, შემდეგ „ხელებს“
შლის და იატაკს ეყრდნობა, აქ კი,
რალაც ჯადოსნური ძალით, „ხელე-
ბი“ ფეხებად გადაიქცევა. შემდეგ
ფეხი ისევ თავთან მიაქვს და ლამაზ
ხვეულ თმებს ეხება.

მოიქცეს, საკმარისია რწმენა, ოღონდაც არა მერყევი,
არამედ ნამდვილი. ეს არაა ადვილი, მაგრამ ცხოვრებაში
არაფერია ადვილი.

**როგორია თქვენი დამოკიდებულება სამყაროს შემოქ-
მედთან?**

მადლობას ვწირავ უფალს არა სიცოცხლისათვის ზო-
გადად, არამედ იმის გამო, რომ სწორედ ასე შემასწავლა
ცხოვრება. ჩემი ყოველდღიური მადლიერება ისაა, რომ
ჩემი ცხოვრება ვაქციო შედეგად, როგორც ეს მან თა-
ვად ინება.

**შენ შეყვარებული ხარ... რით მოგხიბლა შენმა საქმ-
რომ, ანდრეამ?**

სიყვარული, უპირველესად, არის ის, როცა ადამიანი
შენი წარმატებით ხარობს და იზიარებს მას. ეს ორი, პა-

ლი სკლეროზით დაავადებული ექიმი მარიო მელატინი.
მრავალთათვის ეს გაუგებარია, რადგანაც ისინი ფიქ-
რობენ არა ყოფიერების არსზე, არამედ იმაზე, თუ რა
შეიძინონ და რით გაერთონ.

**რომ შეგეძლოს გამოითხოვო უფლისგან შენი ხელები,
ითხოვდი?**

კენიაში ქუჩის ბავშვებისა და შიდსით დაავადებული
მორწმუნეებისთვის ვიცეკვე, მათაც იგივე კითხვა და-
მისევს. შენც იმავეს გიპასუხებ: ხელის კიდურებით რომ
დავბადებულიყავი, ახლა ჩემთან კი არ ისაუბრებდი, არა-
მედ სხვასთან. მე კი მიყვარს სიმონა (შეგიძლიათ, საიტზე
www.youtube.com იხილოთ, თუ როგორ ცეკვავს სიმონა).

**მასალა მომზადებულია
გაზეთიდან "Avvenire"**



ს ა რ ე ბ ა

25 მარტი – ხარების დღესასწაული

25 მარტს მთელი ეკლესია საზეიმოდ აღნიშნავს
უფლის ხარების დღესასწაულს. ქრისტოლოგიაში 25
მარტი წარმოდგენილია დღედ, რომელიც მოიცავს
ახალი ჟამის თითოეულ დღეს, ანუ ეს არის ეკლესიის
ჟამის მწვერვალი; IV-V სს-ში იგი მიიჩნეოდა „დღესას-
წაულთა ფესვად“ (იოანე ოქროპირი), უფლის პასექის
დასაწყისად, ანუ ახალი ჟამის დასაბამად, დასასრუ-
ლის დასაწყისად: მესიის განკაცების, საუკუნეებით
დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად, ქმნი-
ლების განახლების დასაწყისად.

რატომ აღინიშნება 25 მარტი?

მოდით, მივყვეთ იმ საგარაუდო ვერსიას, რომელიც
შობის დღესასწაულს – 25 დეკემბერს 25 მარტთან
აკავშირებს და არა პირიქით (ქრისტეშობის აღნიშვნა
25 დეკემბერს პირველად დასტურდება რომში, 336
წელს); ძველ მორწმუნეებს და წმიდა მამებს – ტერტუ-
ლიანეს დროიდანვე – სწამდათ, რომ ეს დღე, 25 მარტი,
გაზაფხულის ბუნიობა, სინათლის, წუთისოფლისა და
ადამიანის შექმნის დასაწყისს აღნიშნავდა, და ამიტო-
მაც, სამყაროს აღსასრულის ბოლო დღე უნდა ყოფი-
ლიყო. ამ მიზეზით ითვლებოდა იგი ღვთის განკაცების
სიმბოლურ თარიღად: ამ ვარაუდით, უფალი განკაცდა
და მიიცვალა 25 მარტს. ებრაელები ლიტურგიულ ახალ
წელს ნისანის თვეში აღნიშნავდნენ, რის განმავლობა-
შიც მოიგონებდნენ პასექს. **ნისანი** (ებრაული ტრანს-
ლიტერაციით נִסָּן) ებრაული კალენდრის სამოქალაქო
წლის მეშვიდე თვეა (მერვე თვე ნაკიან წლებში) და
რელიგიური წლის პირველი თვე, რომელიც იანგარი-
შება ეგვიპტიდან გამოსვლის დღიდან. ეს თვე დგება
გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ და გრიგორიანული
კალენდრის მიხედვით მარტს ან აპრილს შეესაბამება.
25 მარტი ასევე მიიჩნეოდა სამყაროს შექმნის თარი-
ღად. ადრექრისტიანულ ეპოქაში ლიტურგიული წლის
დასაწყისი დადგენილი იყო მარტში, კერძოდ 25 მარტს,

ანუ ეს იყო წლის პირველი თვე. ასევე იანგარიშებოდა
ახალი წელიწადი საერო კალენდრითაც. ამის შემდეგ
ლიტურგიული წლის დასაწყისმა ჯერ გადაინაცვ-
ლა შობაზე, მერე ადვენტზე, ხოლო მზის წელიწადის
დასაწყისი რომის საერო კალენდართან შესაბამისად
დარეგულირდა, საიდანაც, სავარაუდოდ, წამოვიდა
ქრისტიანული შობის თარიღიც – 25 დეკემბერი, ანუ
დღე, როდესაც მთელი რომის იმპერია მზის ღვთაების
შობას ზეიმობდა. ბერძნულ პატრისტიკაში გამოთქმა:
rhiza tón heortón – „დღესასწაულთა ფესვები“, – რასაც
25 მარტს უწოდებდნენ, – ითვლებოდა როგორც ღვთის-
მშობლის, ასევე საუფლო დღესასწაულად. ლათინური
წესის მიხედვით, თუ ხარების დღესასწაული დიდმარხ-
ვაში ემთხვეოდა ვნების კვირას, ან აღდგომის კვირას,
მაშინ ის გადაჰქონდათ აღდგომის მეორე კვირის
ორშაბათს. ეს პრობლემა დასაგვლეთში განხილულ იქნა
ტოლედოს კრებაზე (656 წ.); ხოლო აღმოსავლეთში
ტრულანის კრებაზე (692 წ.) დადგინდა, რომ ხარე-
ბის დღესასწაული დიდმარხვაში გამონაკლისი უნდა
ყოფილიყო, ყოველგვარი გადატანის გარეშე, თუნდაც
ეს დღე პარასკევს, ან წმიდა შაბათს დამთხვეოდა.
აღმოსავლეთში ეს წესი დღემდე მოქმედებს. როგორც
აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ხარების დღესას-
წაული გამორჩეულია ლიტურგიული წლის საუფლო
დღესასწაულთა შორის. ეს დღესასწაული კონსტანტი-
ნოპოლში დადგინდა დაახლოებით 530 წელს; VI ს-ში
მას რომანო ტებილხმინი (Romano il Melode) უძღვნის
kontakion-ს. დღესასწაულის დამკვიდრებას ხელი შეუწ-
ყო ანტიარქანუელმა ქადაგებებმა, რომლის მიხედვითაც
ქრისტეში შერწყმულია ადამიანური და ღვთაებრივი
ბუნება; ასევე, სირიულმა ქადაგებებმაც, სადაც მკვეთ-
რი პარალელია გავლენილი ევასა და მარიამს შორის.
რომში დღესასწაული დაამკვიდრა პაპმა სერგიუს I-მა
(687-701), წარმოშობით სირიელმა, რომელიც მას სანტა
მარია მაჯორეს ეკლესიაში აღნიშნავდა ლიტურგიული
წირვითა და პროცესიით.

საგანგებო ჩანართი

კანონიკური სახარებები

ხარება განსხვავებული ფორმით არის მოთხრობი-ლი მათესა და ლუკას სახარებებში. მათეს სახარების მიხედვით (**1,18-25**) მარიამი მუცლად-ილო სულიწმიდის მიერ; იოსებს სიზმრად ეცხადება ანგელოზი, რომელიც ურჩევს მიიღოს მარიამი, „ვინაიდან მასში ჩასახული სულიწმიდისაგან არის“. ლუკას სახარებაში (**1,26-37**) ანგელოზი მარიამს ეცხადება ნაზარეთში და ახარებს, რომ ჩაესახება ღვთის ძე. ორი მახარებლის მონათხ-რობი აშკარად მეტყველებს მათ უწყებათა ხასიათსა და თეოლოგიურ ნააზრევზე: მათე ძირითადად იუდეველ ქრისტიანთათვის წერს, ამიტომაც აშკარაა თემატი-კა, რაც ამ კულტურული ტრადიციების მქონე ხალხს დააინტერესებს, კერძოდ ის ფაქტი, რომ მოსეს რჯუ-ლის თანახმად, მამაკაცს უნდა მიეტოვებინა ფეხმძიმედ მყოფი დაწინდული ქალი. მათეს ნააზრევს ამტკიცებს ციტატა ძველი აღთქმიდან (ესაიას წინასწარმეტყვე-ლება), რაც კიდევ უფრო აძლიერებს გადმოცემული ფაქტების მნიშვნელობას. ლუკას მიერ აღწერილ მოვ-ლენებში კი ყურადღება გამახვილებულია დედაკაცებ-ზე. არა მხოლოდ ნაზარეველ მარიამზე, არამედ მაგდა-ლინელსა და სხვა დედაკაცებზე, რომლებიც რწმენის შესაშურ მაგალითებს გვაძლევენ. მთელი ყურადღება კი მიპყრობილია მარიამზე, მის შინაგან განწყობასა და ანგელოზისადმი მის პასუხზე. ყველაფერი ეს რომ ერთმნიშვნელოვნად ძვირფასი იყოს, ლუკას ძველი აღთქმიდან კი არ მოჰყავს ციტატა, არამედ კიდევ ერთი დედაკაცის, ელისაბედის ცხოვრებისეულ გამოცდილე-ბას გვაცნობს.

აპოკრიფული სახარებები

ხარების ეპიზოდს შეიცავს ასევე **იაკობის აპოკრიფუ-ლი სახარება** (IIIს. ნახევარი): *„და ჟამსა ერთსა წარილო სარწყული და წარვიდა ვსებად წელისა. და იყო ჳმაჲ მისა მიმართ და ჰრქუა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. და მიმოიხილა მარიამ მარჯულ და მარცხლ, ვინაჲძი არს ესე მისა მიმართ, და შეძრწუნებული შევიდა სახედ თვსა. და დადგა სარწყული იგი და დაჯდა სავარძელსა ზედა. 2. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დადგა წინაშე მისა და ჰრქუა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰჰოვე მადლი წინაშე უფლისა, და შენ მიუდგე სიტყვთა მისით და შეე ძღ“. და ვითარცა ესმა ესე მარიამს, განიზრახვიდა გულსა თვსსა და ჰრქუა: „უკუეთუ მიუდგე სიტყვთა უფლისა ღმრთისა ცხოველისაჲთა, ვითარცა ყოველმან დედაკაცმან ეგრეთ მე ვშვეა?“ 3. მოვიდა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა მას: „არა ეგრე, მარიამ, არამედ სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისაჲ გფარვიდეს შენ; ამისთვსცა რომელ იგი შენგან შობად არს წმიდარს და ძე ღმრთის ერქუას მას“. მაშინ ჰრქუა მარიამ: „აჰა ესერა ვდგა მე მხევალი უფლისაჲ; მეყავნ*

მე მსგავსად სიტყვსა შენისა“.

ხარების ეპიზოდებს ვხვდებით ასევე ფსევდო-მათეს სახარებაში (VIII-IX სს) და სხვა აპოკრიფულ ძეგლებში.

ეკლესიის მამები

ანტიკური ქრისტიანული ხანიდან მოყოლებული, წმი-და მამები ყოველთვის იჩენდნენ ყურადღებას ამ დლე-სასწაულის მიმართ; განსაკუთრებულ კომენტარებს ისინი ლუკას სახარებაში აღწერილ ამ მოვლენაზე აკე-თებდნენ. II ს-ის ლექსების კრებულში „**Oracoli Sibillini**“ შთამაგონებლად და შთამბეჭდავად არის მოთხრობილი მარიამში ღმრთის ძის განხორციელების ფაქტი: *„ასე აუწყა პატარა გოგონას მთავარანგელოზმა: ქალწულო, შენს უმანკო წიაღში მიიღებ ღმერთს. ამ საუბრისას, უფალმა მადლი მოიღო სათნო ქალწულზე. ანგელოზის ხმის გაგონებაზე, იგი შეერთა და გაოცდა; ათრთოლდა მოულოდნელი უწყების მოსმენისას, გაირინდა, ფიქრე-ბით გული აუფორიაქდა და აუჩქროლდა, შემდგომ კი განიხარა და გულთბილად მიიღო ეს უწყება. ქალწულს აღმურმოდებულ სახეზე ღიმილი მოეფინა, სიხარულმა წარიტაცა იგი და კდემამოსილებით აღივსო, მხნეობა მოიკრიბა და სიტყვა უმაღლე განსხეულდა მასში“.*

წმიდა მამების კომენტარები ქალწულისადმი ანგე-ლოზის ხარების შესახებ სხვადასხვაგვარია. ორიგენე შენიშნავს, რომ სიტყვები – „გიხაროდენ, მიმადლებუ-ლო“ – სრულიად უჩვეულოდ გახმიანდება და უჩვეულო უწყებას მალავს. ამიტომაც სწუხს მარიამი. ყოველდ-ლიური მედიტაციის წყალობით, იგი კარგად იცნობს საღვთო წერილს და ვერ იხსენებს მსგავს სიტყვებს. მაშინ მას გაბრიელ მთავარანგელოზი ამშვიდებს. ანგელოზის უწყების არსს ასე განუმარტავს იოანე ოქროპირი (IV ს.-450წ.) რავენას მორწმუნე ქრისტი-ანებს: მარიამში არა მხოლოდ წყალობა, არამედ თა-ვად წყალობის სისავსე ივანებს. უფალი მოდის არა მხოლოდ მის მოსანახულებლად, არამედ გაუგონარი საიდუმლოს აღსასრულებლად: შვას მისგან ძე კაცისა. სწორედ ამ მადლის ძალით იქცევა მარიამი ცოცხალ-თა დედად. ტიტე ბოსტრელი (**Tito di Bostra** – სირიის ქალაქ ბოსტრას ეპისკოპოსი და თეოლოგი; **† 388წ.**) თავის კომენტარში, ანგელოზისადმი ბრძნული პასუხის გამო, აქებს მარიამს, რომელმაც არ გამოავლინა ურწ-მუნოება, ან ამაო ცნობისმოყვარეობა, და შესაფერისი განმარტება მოითხოვა იმის შესახებ, რაც მასში უნდა აღსრულებულიყო. ამ საიდუმლოში მარიამის მორჩი-ლება ანონასწორებს ევას ურჩობას. გაბრიელ მთავა-რანგელოზის სიტყვები მარიამისადმი კურთხევისა და სიხარულის უწყებაა, ხოლო ღვთის სიტყვები პირველი დედაკაცის მიმართ მიანიშნებს ცოდვისშემდგომ სას-ჯელზე, რომელიც შიშისა და ტკივილის წყარო იქნება. სწორედ ამაზე წერს გრიგორი დიდი: *„პირველი (დედა-კაცი) ცოდვის გ ზას დაადგა; მეორემ გამოსყიდვის კარი შეაღო. პირველი გველის რჩევას გაჰყვა; მეორემ სძლია*

საგანგებო ჩანართი

გველს და შვა ნათლის შემოქმედი. პირველმა ხის მიერ ცოდვა შემოიტანა; მეორემ, პირიქით, ისევ ხის მიერ, სიკეთე შემოიტანა. ხეში ჩვენ ვგულისხმობ ჯვარს. ხოლო ნაყოფი ამ ხისა მარადმწვანეა და მარადიული სიცოცხლის წყაროდ იქცევა ყველასთვის, ვინც მას იგე-მებს“. წმიდა მამები მარიამის ბოლო სიტყვებში რწმე-ნის გასაოცარ გამოხატულებასა და ღვთის ნებისადმი სრული მორჩილების გამოვლინებას ხედავენ. ანტიპატ-რე ბოსტრელის (**Antipatro di Bostra, † 457წ.**) ერთ-ერთ ქადაგებაში შემდეგს ვკითხულობთ: *„ქალწულს არ უთქვამს: „მომშორდი, სულ ამოაა ყველაფერი, რასაც მაუწყებ; მე ქალწული ვარ, არ შემიცვნია მამაკაცი, უგუნურებაა, რასაც მთავა ზობ.“ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანგელოზმა განუმარტა, რომ სულიწმიდა გადმოვი-დოდა მასზე, სულიერმა სულიერად შეისმინა და წმიდამ სინმიდით ირწმუნა ეს წმიდა სიტყვები, ურყევი დარჩა მისი რწმენა და უწყება უხმოდ მიიღო“.*
შეხვედრა, რო-მელიც შედგა ღვთის წყალობასა და მარიამის სულგრ-ძელ პასუხს შორის, დიდი მოვლენით დაგვირგვინდა, რომელიც, ბასილი სელევკიელის (**Basilio di Seleucia** – სელევკიის ეპისკოპოსი, **†458წ.**) კომენტარის თანახმად, ყოველთვის ატარებს თავის საიდუმლო ხასიათს და რომელმაც წუთისოფელი განაცვიფრა, რამეთუ არასო-დეს უნახავს მსგავსი რამ. *„ძე, რომელიც დამბადებული მამა იყო; ყრმა – დედის მუცლად ყოფნამდე, – მარა-დისობაში მყოფი; პატარა – თვით საუკუნეებზე ძველი. ის, ვინც იშვა, უბრალო ადამიანი როდი იყო, არამედ ღვთის სიტყვა, ქალწულის მიერ შობილი და ძე-ხორცი-ელი, რათა მსგავსი მსგავსით გამოეხსნა“.*

აბრამ ეფესელი (**Abramo di Efeso – VIII) 25** მარტის ერთ-ერთ ჰომილიაში აცხადებს: *„დღეს გაუქმდა საუკუ-ნო სასჯელი: მას მერე, რაც მიწას ეუწყა ეს სიხარული, შეწყდა „ტკივილით შობა“; დედაკაცის მიერ კაცთა მოდგმაში სიკვდილი შემოვიდა და დედაკაცის მიერ დაუბრუნდა მას სიცოცხლე“.*

ანგელოზის მიერ მარიამისთვის უფლის შობის შესახებ ხარება ერთგვარად მოგვაგონებს, თუ რო-გორ გამოეცხადა პასექის დილით აღმდგარი ქრისტე მარიამ მაგდალელსა და სხვა ქალებს. აუცილებელი იყო, – როგორც ამბობენ წმიდა მამები (ათანასე დიდი, კირილე იერუსალიმელი, გრეგორი პალამასი), – რომ ძილქუშიდან გამოსულ ახალ ადამს (შდრ. დაბ.2,21-23) პირველად დედაკაცი ეხილა და დედაკაცსაც ეხილა იგი. დედაკაცი, რომელიც ყველა ქმნილებაზე უწინარეს ხედავს აღმდგარს, წმიდა მამების აზრით, უდავოდ ღვთისმშობელი მარიამია. ხარება მხოლოდ გამოსყიდვის დასაწყისი როდია: იგი არის ქრისტეს მთელი ცხოვრების წაკითხვისა და შეცნობის გასაღები. ხორცად ქმნილი სიტყვის შერაცხვა სამყაროს შემოქ-მედად ოდნავადაც არ ამცირებს მარადისობაში დედა-კაცის მიერ შობილი სიტყვის საიდუმლოს. საპასექო საიდუმლო ღვივდება და ვითარდება ისტორიაში და

ადამიანები ემანუელში ხდებიან ღვთის შვილნი (გალ. 4,4-5). ხარებას, როგორც ისტორიულ და მაცხოვნებელ მოვლენას, ეკლესია წელიწადში ერთხელ აღნიშნავს, 25 მარტს. თუმცა იგივე საიდუმლო, – საკრამენტული ეკონომიის მიხედვით, – ყოველდლე და ყოველ წირვა-ზე აღესრულება. მარიამისთვის ნაუნყები აღმდგარი უფალი ყოველდლე ეუნყება მორწმუნეებს მარადიული განკაცების წყალობით და ეს ხდება ისტორიულ ჟამ-თასვლაში, საკრამენტული თვისებით, როგორც სახარე-ბის ხორცშესხმა „ჩვენთვის აქ და ამჟამად“ და ესქატო-ლოგური თვისებით, რომელსაც აჩვენებს ქრისტე მის პარუზიამდე.

ხარება იკონოგრაფიაში

იკონოგრაფია ცხადყოფს დღესასწაულის მნიშვნე-ლობას როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში. ხარების ერთ-ერთ პირველ გამოსახულებად შეიძლე-ბა ჩაითვალოს II საუკუნეში რომის კატაკომბებში, წმიდა პრისცილას აკლდამის კედლის ფრესკა. მასზე გამოსახულია ახალგაზრდა, რომელიც დგას ტახტზე მჯდომარე დედაკაცის წინაშე, რომელსაც მუხლებზე ყრმა უზის, თავზე კი ვარსკვლავი ადგას. ეს დედაკაცი უეჭველად ღვთისმშობელი მარიამია, მაგრამ ყრმის გამოსახულებამ, და ასევე ვარსკვლავმა, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს თეორია, რომლის მიხედვითაც ამ სურათზე გამოსახულია ხარების ამსახველი სცენა. აქ მთავარი პერსონაჟი სწორედ ის ახალგაზრდა ჭაბუკია, რომელიც ფრესკაზე, ღვთისმშობლის წინ, ფრთების გარეშეა გამოსახული; აქვე, უნდა გავიხსენოთ, რომ პირველ საუკუნეებში ანგელოზებს ახალგაზრდა მამა-კაცის სახით ხატავდნენ, ქიტონით შემოსილებს, ხელ-ში მწყემსის ჯოხით, ან ისრით. მხოლოდ და მხოლოდ V საუკუნიდან იკვეთება იკონოგრაფიაში ანგელოზთა კონკრეტული სახე და მათი დამახასიათებელი ნიშანი – ფრთები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ფრეს-კაზე გამოსახული უნდა იყოს ხარება. ეფესოს კრე-ბის შემდეგ (**431წ**), ხარების იკონოგრაფიული ტიპის ფორმირებას ორი ტენდენცია უწყობს ხელს. პირველი აპოკრიფების ზეგავლენით ყალიბდება, განსაკუთრე-ბით, იაკობისა და ფსევდო-მათეს აპოკრიფული სახა-რებების მიხედვით, საიდანაც ხარების კომპოზიცია მრავალგვარი დეტალებით ივსება. მეორე ტენდენცია თავად ბიზანტიური ხელოვნების ევოლუციიდან მომ-დინარეობს. ამ ეპოქაში, იმპერია და მისი მშვენიერე-ბის იდეალი, ხელოვნების დეკორაციული ელემენტები-თა და ფორმებით, დიდებულ სურათს ქმნის, რომელიც დამახასიათებელია ბიზანტიური ხელოვნებისათვის და რაც თავის უმაღლეს გამოხატულებას VI საუკუნეში, იუსტინიანეს ოქროს ხანაში აღწევს. ეს კონცეფცია ნათლად არის წარმოდგენილი რომის **სანტა მარია მაჯორეს** ტრიუმფალური თაღის მოზაიკაში, რაც ხარების ერთ-ერთ პირველ გამოსახულებად ითვ-

II

საბა

საბა

III

საგანგებო ჩანართი

ლება, ყველა ელემენტის გათვალისწინებით. მისი ენა საიმპერიო ხელოვნების ენა უფროა, ვიდრე სახარების. ხარების ხატები ხატმებრძოლეობის ეპოქამდე, – არც-თუ მრავალი, და ისიც მხოლოდ რელიეფისებური, ან მინიატურული ფორმით შესრულებული, – უკვე ხატის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. მთავარანგელოზი მარცხნიდან უახლოვდება მარიამს და, კურთხევის გამომსახველი ჟესტით, აუწყებს მას კეთილ ამბავს. ქალწული ღირსეულად და მტკიცედ დგას ტახტის წინ. ფონზე ძალიან მარტივი არქიტექტურული შტრიხებია, პორტიკის ფორმის. კომპოზიციის სტატიკური ხასი-ათი და ზომიერი მოძრაობები აშკარად მეტყველებს ხატწერის საიმპერიო სტილზე. ეს კონცეფცია მხო-ლოდ სიდიადის იდეალს არ გამოხატავს, რადგანაც გამორიცხავს თხრობით და ისტორიულ დეტალებს, იგი მეტწილად დოგმატურ და თეოლოგიურ კონცეფ-ციას ასახავს. ეს კონცეფცია იკონოგრაფიაში XIII საუკუნემდეა შენარჩუნებული. აღმოსავლეთის ეკლე-სიებში ერთ-ერთი „თორმეტ დღესასწაულთაგან“, რაც ხატწერაში გვხვდება, ყოველთვის იყო ხარება, დასავ-ლეთში, საუკუნეების მანძილზე, მხატვარები თავის ტილოებზე ყველაზე ხშირად ასახავდნენ ხარების სცენას; აქ საკმარისია, გავიხსენოთ ჯოტო, მარტინი, ფრა ბეატო ანჯელიკო, ფილიპო ლიპი, ლეონარდო და ვინჩი, ბოტიჩელი.

ხარება ლოცვაში

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ბიბლიურ ეპიზოდს, ან რომელიმე თეოლოგიურ ჭეშმარიტებას ამდენი გამოხმაურება არ მოჰყოლია ქრისტიანული ლოცვის ტრადიციაში, როგორც ხარების ეპიზოდს. ლოცვა, რომლის პირველი ფრაზა – „გიხაროდენ, მარიამ“ – წარმოადგენს გაბრიელ მთავარანგელოზის მისალმე-ბას მარიამისადმი ხარების მომენტში, ათასწლეულის მანძილზე ისევე იყო გავცელებული დასავლეთში, როგორც თავად საუფლო ლოცვა. ხარება ასევე ერთ-ერთი პირველთაგანია იმ 20 საიდუმლოდან, რომელიც სავარდის ლოცვაში ითქმება, სადაც უწმიდესი ღვთისმ-შობლისადმი ლოცვისას, იესო ქრისტეს ცხოვრების საიდუმლოებებს ვიხსენებთ; სავარდის ლოცვა სწორედ ხარებით იწყება. ხარება, შეიძლება ითქვას, ასრულებს „Angelus“-ის ლოცვას, რაც, ტრადიციისამებრ, შუად-ლისას წარმოითქმის; ამ ლოცვას რომში, წმიდა პეტ-რეს მოედანზე, კვირა დილით საჯაროდ წარმოთქვამს თავად პონტიფექსი, მას წინ უძღვის მოკლე მედიტაცია თანამედროვე ცხოვრებასა და ისტორიულ ფაქტებზე.

ხარების ეკლესიისა და მარიამის საცხოვრისის ისტორია

ღვთისმშობელ მარიამის საცხოვრებელი, სადაც მას ეხარა ანგელოზის მიერ, უძველესი ტრადიციის

მიხედვით, ნაზარეთში მდებარეობს, ხარების ბაზი-ლიკის კრიპტაში. ეკლესია შედგება ორი დონისგან, ქვედა – მღვიმე, სადაც ხარება მოხდა, და რომელიც, მრავალი ქრისტიანის რწმენით, სწორედ იმ სახლის ნარჩენებია, სადაც მარიამი ცხოვრობდა. საცხოვრებ-ლის ერთი მხარე შედგებოდა კლდეში გამოკვეთილი ნაწილისა, ხოლო მეორე მხარე აშენებული კედლისა-გან. სწორედ ეს მეორე ნაწილი შემორჩა ნაზარეთში XIII საუკუნემდე, სანამ მას გადაიტანდნენ ჯერ ტერსატო-ში (Tersatto, ხორვატია) და შემდეგ ლორეტოში (იტა-ლია), ვინაიდან წმიდა მიწის ოკუპაცია მუსულმანთა მიერ ბაზილიკის პირვანდელი სახის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნიდა. ტრადიციის მიხედვით, იგი ლო-რეტოში რამდენიმე ანგელოზმა ფრენით გადმოიტანა (ამიტომაც ითვლება ლორეტოს ღვთისმშობელი ავი-ატორთა მფარველად). თუმცა, იმდროინდელ დოკუ-მენტებზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ სინამდვილეში მისი გადმოტანა მოხდა გემით, 1291-1294 წლებში, ეს საქმე ითავა ანგელ კომნენოსის ოჯახმა, ბიზანტიური იმპერიის საგვარეულო წარმომადგენლობამ. წმიდა სახლი, როგორც მას უწოდებენ, დღემდე მდებარეობს ლორეტოს ბაზილიკაში და მას მუდმივად ჰყავს ურიცხვი მნახველი. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მარიამის ოჯახის შთამომავლებმა ამ წმიდა ადგილზე შენობა ააგეს. პირველი ბაზილიკა აქ V ს-ში აიგო. XI ს-ში, როდესაც წმიდა მიწა ლათინი ქრისტიანების მიერ ბალდოვინო I-ის დროს ისევ აღდგა, შეკეთდა ნგრევის პირას მისული ძველი ბაზილიკა. მდიდრული ნაგებობა ბიბარსის (Bibars) მიერ ნაზარეთის ალების დროს დაინგრა, გადარჩა მხოლოდ წმიდა მღვიმე. 1620 წელს ფრანცისკელებს ნაზარეთში დაბრუნების ნება დართეს. მათ ეკლესიის ნანგრევებზე, ზედ მღვი-მის თავზე ააშენეს მცირე სამლოცველო. 1730 წელს კი ახალი ეკლესიის მშენებლობის ნებართვა მიიღეს. ეკლესია გაფართოვდა და გადაკეთდა 1877 წელს, 1954 წელს კი მთლიანად დაანგრიეს ამჟამინდენლი ბაზილიკის აგების მიზნით. 1909 წელს აქ შემთხვე-ვით აღმოაჩინეს რომაული ბაზილიკის პერიმეტრი. უახლესმა არქელოგიურმა გათხრებმა (ფრანსცისკე-ლი მამის, ბაგატის მიერ წარმოებული 1955-1969 წწ.) კი სამზეოზე გამოიტანა წინა ორი ნაგებობის ნარ-ჩენები, ერთი ბიზანტიური და ერთიც ჯვაროსნების ეპოქისა, და ასევე ნაპოვნი იქნა პირველჟამინდელი იუდეურ-ქრისტინული ნაგებობის ნაშთები, პატარ-პა-ტარა საგნებითურთ. შენობა შედგება ქვედა და ზედა ბაზილიკისგან. ეკლესიის ქვედა სართულზე დიდი კრიპტაა, სადაც განთავსებულია ხარების მღვიმე, რაც, ტრადიციის მიხედვით, ღვთისმშობლის სახლ-თან არის გაიგივებული.

ქრისტიანული ოჯახი

მიგრაცია და ოჯახები

დღეს საქართველოში სიღარიბე ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონო-მიკური პრობლემაა. სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის 40% სი-ღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. განსაკუთრებით ღარიბია დაუსაქმებე-ლი ოჯახები, სიღარიბე იზრდება ოჯახ-ში მარჩენალის კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად. ხშირად დასაქმებულთა მიერ მიღებუ-ლი მცირე შემოსავალიც უმუშევრობის ტოლფასია. შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა დამოკიდებულია დასაქმების ხელშეწყობის მიზანმიმარ-თული პოლიტიკის განხორციელებაზე, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ძალის მოთ-ხოვნასა და მიწოდებას შორის არსებუ-ლი დისბალანსის შემცირებაზე.

უმუშევრობა საქართველოს მო-სახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს უბიძგებს, დატოვოს სამშობლო და არ-სებობის წყარო ქვეყნის ფარგლებს გა-რეთ ეძიოს (ემიგრანტთა 80-85% სამ-შობლოდან ამ მიზეზით მიდის). საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 33-34%-ია დაქირავებული მუშა, დანარ-ჩენი 66-67% კი კერძო ბიზნესით, ან კერძო სამუშაოებითაა დაკავებული. საქართველოში შრომის ბაზრის არა-ელასტიურობას ემატება ის გარემო-

ალბათ, არსებობს მიზეზები, რამაც განაპირობა თქვენი ოჯახის წევრების დროებითი დაშორება. მაინც რა დრო დას-ჭირდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას?

ჩემი მეუღლის იტალიაში წასვლა ძირითადად ბავშვების განათლების მიღების აუცილებლობით იყო გამოწვეული. სო-ფელში ვცხოვრობთ და ყოველდღიური ლუკმა-პურის მოპოვე-ბას ასე თუ ისე ვახერხებდით, მაგრამ სწავლის გადასახადი მეტად მძიმედ დააწევბოდა ჩვენს ბიუჯეტს. თუმცა, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდით, მთელ ორ წელიწადს ვბჭობდით.

რის მიხედვით აირჩიეთ ქვეყანა და როგორი იყო პირველი თვეები დედის გარეშე დარჩენილი ოჯახისათვის?

იტალიაში ქეთინოს წასვლა იქ მყოფი ნათესავ-მეგობრის ყოფნამ განაპირობა. ჩვენთვის მართლაც ძალზე მძიმე იყო პირველი დღეები, თვეები. განსაკუთრებით გაუჭირდათ ბავშ-ვებს, რადგან დედა მათი საუკეთესო მეგობარი იყო ყოველთ-ვის და დღესაც, შორი მანძილიდან, უწევს მათ მეგობრობას. ჩემს გრძნობებზე საუბარი მეუხერხულება, მაგრამ ეს რომ წინასწარ მცოდნოდა, ალბათ, არასოდეს მივცემდი წასვლის ნებას.

რა კუთხით გაიუმჯობესეთ ცხოვრების პირობები და რას ვერ შეძლებდით, თქვენი მეუღლე იტალიაში რომ არ წასულიყო?
ჩვენი, როგორც ყველა მშობლის, უმთავრესი მიზანი შვილე-

ლიქტების გამო ტოვებდნენ ქვეყანას, ბოლო წლებში ეს შეცვალა ეკონომი-კურმა მოტივმა.

გამოკვლევებმა დაადგინა, რომ მიგრაციისადმი მზაობა უახლოეს მო-მავალში არ შემცირდება, რადგან ის ფაქტორები, რომლებიც მიმზიდველია, ახლო მომავალშიც არ დაკარგავს აქ-ტუალობას. რადგან მიგრანტთა 4/5 კმაყოფილია, რაც დამატებითი სტიმუ-ლია დანარჩენებისთვის.

მიგრაციის ტალღა, ბუნებრივია, ჩვენს საკრებულოებსაც შეეხო; არ არსებობს ოჯახი, რომლის რომელიმე წევრი: შვილი, მეუღლე, ან ნათესა-ვი საზღვარგარეთ არ იმყოფებოდეს, რადგან დღეს ეს ბევრი ოჯახისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა. ჩვენთ-ვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი აზრი, განცდები და მათ მიერ და-ნახული ეს პრობლემა, თავისი დადები-თი და უარყოფითი მხარეებით. რადგან ამ დროს ძალაუნებურად ერთმანეთს ეჯახება სხვადასხვა კულტურისა და მენტალიტეტის ადამიანთა ინტერე-სები. მიგრაცია ჩვენი რესპოდენტის, ახალშენელი **ალეკო მაისურაძის** ოჯახსაც შეეხო. მისი მეუღლე, ქეთი-ნო ბლუაშვილი უკვე 6 წელია იტალი-აში, ლენიაგოში (ქ. ვერონა) ცხოვრობს და მუშაობს.

ნინო ჟღენტი

ბის კეთილდღეობა, პირველ რიგში, განათლების მიღებაა, რაც მოვახერხეთ. მერე კი ადამიანს თანდათან ახალი მიზნე-ბი უჩნდება, რისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვეთ.

ხშირად ჩამოდის თქვენი მეუღლე სამშობლოში? დაბრუნ-დება თუ არა ახლო მომავალში და რა არის მისი წასვლით გა-მონვეული დანაკლისი, რასაც ვერ აინაზღაურებთ?

მთელი ამ ექვსი წლის მანძილზე ორჯერ ჩამოვიდა, თუმც წასვლისას გეგმავდა, რომ უკან ორ წელიწადში დაბრუნდებო-და. ალბათ, სწორედ ორი წელია ის მაქსიმუმიც, რისი გატარე-ბაც ოჯახის გარეშე კიდევ შეუძლია. მაგრამ შესაძლებლო-ბები ყოველთვის არ ემთხვევა სურვილებს. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებით, ჩვენ მხოლოდ მანძილი გვაშორებს, თო-რემ ისევ ძველებურად, ერთ ოჯახად ვცხოვრობთ.

თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, ფფიქრობ, ზედმეტია, გკითხოთ, მაგრამ მაინც: ანგრევს თუ არა ოჯახებს ფიზიკური სიშორე?...

მე და ჩემს მეუღლეს დღესაც, ექვსი წლის შემდეგაც, გვე-ნატრება ერთმანეთი... ფფიქრობ, ამით ვუპასუხე თქვენს კით-ხვას.

გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, თქვენი ოჯახის მალე გამ-თლიანებას და ყველა იმ განცდის წარსულში დატოვებას, რაც, ასე თუ ისე, მძიმედ დაილექა თქვენს ცნობიერებაში.

IV საბა

საბა

11

კათოლიკურმა ეკლესიამ სამრევლო-რელიგიურ საქმიანობაში ქართული ენა შეინარჩუნა



როგორც ჟურნალ „საბას“ მკითხველისთვისაა ცნობილი, საქართველოს მთავრობისა და ვატიკანის მესვეურთა შეთანხმების საფუძველზე, ვატიკანის არქივებში დაცული ქართული წყაროების შესასწავლად გამოიყო ქართველ მკვლევართა ჯგუფი. „საბას“ მკითხველისთვის საინტერესო კითხვებზე უპასუხებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ნოდარ ლაბარია და ნინო დოზორჯიანიძე.



როგორ დაიბადა ვატიკანის არქივებში მუშაობის ინიციატივა? რა ხანგრძლივობის სამუშაო იგეგმება და რომელი არქივები იქნა უკვე გამოკვლეული?

ინიციატივა, რომელიც მდგომარეობს კათოლიკური ეკლესიის არქივების გამოკვლევაში, საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოსაპოვებლად, წარმოიშვა საუბრიდან, რომელიც 2011 წლის დასაწყისში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, ნიკოლოზ რურუას ვატიკანში კულტურის პონტიფიკალური საბჭოს თავმჯდომარესთან, კარდინალ ჯანფრანკო რავაზისთან ჰქონდა. მაშინ დადგინდა, რომ ქართველ მკვლევრებს საშუალება ექნებათ, იმუშაონ როგორც ვატიკანის, ასევე ცალკეული რელიგიური ორდენების არქივებში.

მოგვიანებით გადაწყდა მკვლევართა ჯგუფის შექმნა. მასში, ჩვენს გარდა, შედიან ალექსანდრე თვარაძე, სალომე კენჭოშვილი (ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და მიხეილ მირაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტი). კვლევა ჯერ არ დასრულებულა და მისი დასრულების თარიღის დასახელება შეუძლებელია. როგორც ეტყობა, მომავალში ერთმანეთს შეცვლის ისტორიული დოკუმენტების მოძიებისა და მოძიებული მასალის დამუშავების პერიოდები. რაოდენ ხშირი იქნება ეს პერიოდულობა, ბევრ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული.

მთავარია, რომ იქმნება სამეცნიერო მუშაობის სრულიად ახალი გამოცდილება. ჯერჯერობით ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს პროპაგანდა ფიდეს არქივში, მეტწილად უკვე გამოკვლეულია თეათინელთა და კაპუცინთა ორდენის არქივები.

რა მიზნებს ისახავს კვლევა და როგორია მისი მნიშვნელობა?

კათოლიკური ეკლესიის არქივებში დაცული ისტორიული მასალები იმდენად მრავალფეროვანია და იმდენად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რომ ძნელია ერთ რომელიმე მიზანზე ლაპარაკი. ისევე როგორც ოკეანეში ნაოსნობისას, ყველაფერი დამოკიდებულია მკვლევრის უნარსა და აზლზე. მნიშვნელობა კი ყველაზე ზოგადად ასე შეიძლება გამოვხატოთ: ისტორიული მეცნიერება ვერასოდეს იქნება

არათუ სრული, არამედ სანდოც კი, თუ არ გამოიყენებს დასავლურ წყაროებს.

კონკრეტულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიდევ უფრო გამოიკვეთა საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის მიმართ რუსეთის დამოკიდებულება. ეს არა მარტო კონკრეტულ პოლიტიკურ ნაბიჯებში გამოიხატება, რომლებიც ასევე ძალიან აგრესიული და ცბიერია, არამედ განწყობაშიც: მაგალითად, კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობაში ყოველთვის იგრძნობა ადამიანების გაცნობის სურვილი და განსხვავებულ კულტურასთან საერთო ენის გამონახვისკენ სწრაფვა, მაშინ როცა რუსული პოლიტიკისთვის სრულიად უცხოა ეს ასპექტები.

ეს კვლევა, პირველ რიგში, პოლიტიკური ისტორიისთვის არის უმნიშვნელოვანესი, ვინაიდან ის ძალიან ბევრ, დღემდე სრულიად უცნობ დოკუმენტებზე მუშაობს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნის კულტურული და, განსაკუთრებით, ენობრივი იდენტობის თვალსაზრისითაც. ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მოკავშირედ არჩევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორთოდოქსული ეკლესიის მიერ შუა საუკუნეებში კარგად აპრობირებულმა ინკულტურაციის მოდელმა. მართლაც, შუა საუკუნეებში, როგორც საქართველოში, ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში რელიგიის გავრცელებამ ადგილობრივ ენაზე მნიშვნელოვნად დააჩქარა ადგილობრივი ენის ემანსიპაციის პროცესი, მისი ქცევა სტანდარტულ ენად. უკვე მერამდენე წოდების „ახალმა რომმა“, მართლმადიდებელმა რუსეთმა სრულად უარყო ეს ისტორიული გამოცდილება (რის გამოც მოკავშირედ აირჩიეს) და საქართველოს სრული რუსიფიკაცია მოახდინა. ერთადერთი, ვინც ინკულტურაციული ენობრივი და კულტურული მოდელით მოქმედებდა იმ დროის საქართველოში, ეს იყო სწორედ კათოლიკური ეკლესია, რომელმაც, რუსული ზემოქმედების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა *სამრევლო-რელიგიურ საქმიანობაში, ადმინისტრირებაში ქართული ენა*.

საქმისწარმოება ამ დროს საქართველოში მთლიანად რუსულია, რუსის წინაშე არიან ანგარიშვალდებული პატ-

რებიც, ისინი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის თარგმანს უმზადებენ ცენზურას. ამ ორენოვანი საქმისწარმოების მიუხედავად, თბილისშიც, გორშიც, ქუთაისშიც და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალციხეში, ბოლომდე ინარჩუნებენ ქართულს. პადრე ემანუელე იგლესიასი კაპუჩინი და პადრე კერუბინო და სერარეცა ერთ-ერთ რელაციონში სწერენ კარდინალს, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აქ ჯერჯერობით საქმეს გვიოლებს ის, რომ ენა არის ქართული და ჩვენი საქმიანობის განხორციელება ქართულად შეგვიძლიაო. მომავალში გამონვლილვით უნდა იქნას შესწავლილი ენობრივი ინკულტურაციის კათოლიკური მოდელის როლი.

1845 წელს საქართველოდან გაძევებული მისიონერები არ კარგავდენ დაბრუნების იმედს მანამ, სანამ არ გაიგეს, რომ უკვე ჩამოვიდნენ ვლადიკავკასიაში ორდინე იმპერი-ალეს უფლებამოსილებით აღჭურვილი პოლონელი პატრები, რომლებიც კათოლიკე მოსახლეობას მოემსახურებიან, მაგრამ მათ არ იციან ქართული და არც აპირებენ, ისწავლონ: *ყოველგვარი ღვთისმსახურება, მათ შორის კათოლიკური, – რუსულად*. ეს იყო ქვეყნის რუსიფიკაციისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. აქამდე კათოლიკური მრევლი (არა ადმინისტრაცია) რუსიფიკაციის მოდელის მიღმა რჩებოდა. ახლა კი ხვდებიან, რომ საბოლოოდ გამოაძევეს ისინი რუსებმა, რომ მათი იქ დარჩენის არანაირი საბაბი აღარ დაუტოვეს. ამასთან დაკავშირებით, პადრე ანტონიო გლახაშვილი (ამ უცნობი ქართველი გმირის შესანიშნავი წერილები უნდა ითარგმნოს ქართულად) ერთ-ერთ წერილში სწერს საკრა კონგრეგაციონეს, რუსები ცბიერები არიან, შემოჰყავთ მათთვის სანდო, ორდინე იმპერი-ალეს ერთგული პატრები, მაგრამ თბილისში დიდი არეულობაა, მოსახლეობა წინააღმდეგია კაპუცინელი პატრების მაგივრად მიიღოს ორდინე იმპერი-ალეს მსახური პოლონელები. **UTINAM NON ESSET** – ასე აღწერს სიტუაციას ანტონიო გლახაშვილი.

ცალკე კვლევის საგანია იტალიაში ქართულ ენაზე, ან საქართველოს შესახებ გამოცემული წიგნების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ლექსიკონი, მოკლე გრამატიკა და ქადაგებები.

ცალკე უნდა შეფასდეს ის უნიკალური რელაციები, რომლებიც იმ დროის თითქმის უალტერნატივო წყაროებია, განსაკუთრებით, ეთნონიმის, მიკრო და მაკროტოპონომიკის, მოსახლეობის აღწერის თვალსაზრისით. ეს იტალიური ნარატივები არის ყოველდღიური ცხოვრების, მიკროისტორიების ის აუცილებელი ნაწილი, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიებში, სამწუხაროდ, თითქმის არ არსებობს.

სამუშაოს რა ნაწილი შესრულდა?

მკვლევარმა არასოდეს იცის, რამდენი დარჩა აღმოსაჩენი და რა ელის წინ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ წინ არის. თან ისიც, რაც მოძიებული იქნა, ჯერ კიდევ ელოდება შეფასებასა და აღწერას.

რა ახალი მასალები აღმოჩნდა საქართველოსა და კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობის ისტორიაში?

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინები „კათოლიკური ეკლესია“ და „საქართველო“ ჩვენს შემთხვევაში არაა ზუსტი. ამის გასაგებად მოვახდინოთ ვითარების მიახლოებითი რეკონსტრუქცია.

რომელიც ორდენის კაპიტულზე გადაწყდა მისიონერთა ჯგუფის გაგზავნა სამეგრელოში ან იმერეთში. რა იყო ამ გადაწყვეტილების საფუძველი? როგორ იყო დაკავშირებული ეს გადაწყვეტილება ეკლესიის გარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებთან? რა მოსაზრებებით აირჩიეს მისიონერები? რა კონკრეტული დავალებები მიიღეს მათ და რით განსხვავდება ეს დავალებები, მაგალითად, მალაბარში ან პარაგვაიში გასაგზავნი მისიების შემთხვევაში? შემდეგ სამღვდლოთა ჯგუფი შემოდის საქართველოში და ხვდება რომელიმე თავადის კარზე. მაშინდელი მსოფლიოს შესახებ რა ცოდნა უკარნახებს ამ თავადს, პატივით მიიღოს მისიონერები? ვის ხედავს ის მათში? ვის ან რას წარმოადგენს თვითონ? – შეიძლება ამას ვუწოდოთ „საქართველო“?

ერთი სიტყვით, როცა დეტალურ კვლევას იწყებ, ყოველთვის ჩნდება უამრავი და ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა. ყოველი მათგანი მოითხოვს პასუხს, თანაც ყოველი ეს პასუხი მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას საკუთარი წარსულის შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ პასუხებს დასავლეთის ისტორიული წარმოდგენების გამდიდრებაც შეუძლიათ.

უფრო კონკრეტულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვნახეთ სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის დოკუმენტაცია, ერეკლე მეორისა და ევროპელი საერო და უმაღლესი სასულიერო პირების მიმოწერის ახალი დეტალები, მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოდან მისიონერების გაძევების სრული დოკუმენტაცია, საქართველოში კათოლიკეების დარბევა გარე ძალების მიერ...

საქართველოშიც მოიპოვება საკმაოდ მდიდარი ისტორიული მასალა ამავე თემაზე. როგორ შეიძლება მისი გამოყენება ერთიანი სურათის შესაქმნელად და როგორ ხედავთ ქართველ კათოლიკეთა თანამშრომლობას ამ მიმართულებით?

კოლოსალური ერთჯერადი ამოცანების დასმა მეცნიერებაში არ ამართლებს. წიგნები, რომლებიც დიდ რეალობას აღწერენ და ერთი კუთხით აფასებენ, მალე უნდა იცვლებოდეს. არა მგონია, რომელიმე ჩვენგანს შეეძლოს სერიოზული პასუხი შეკითხვაზე, როგორ არის შესაძლებელი ერთიანი სურათის შექმნა.

რაც შეეხება თანამშრომლობას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თან საიმედო პერსპექტივებიც არსებობს. ჯერ ერთი, რომში ძალიან დიდი იყო ჩვენს მიმართ კეთილგანწყობა. რა თქმა უნდა, ძალიან ვემაღლიერებით საქართველოს საელჩოს წმინდა საყდართან და პირადად ელჩს, ქნ ქეთევან ბაგრატიონ-ორსინის. მაგრამ ასევე უნდა ითქვას, რომ დიდი მხარდაჭერა იყო როგორც „პროპაგანდა ფიდესი“, ასევე ორდენების არქივებში.

ექვთიც არ გვეპარება, რომ ასევე იქნება ქართველი კათოლიკეების მხრიდანაც. აქ კი სამუშაო წინ არის. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება განათლებას: უნდა აღიზარდონ მკვლევრები, რომლებსაც საკმაო კვალიფიკაცია ექნებათ ამ სამუშაოს გასაგრძელებლად. შემდგომში კი ყველაფერს წარმართავს სამეცნიერო ინტერესი და ცნობისმოყვარეობა. არ დავივიწყოთ, რომ სწორედ კათოლიკური ეკლესიის წიაღში მიეცა დღევანდლობისთვის შესაფერი განმარტება პავლე მოციქულის სიტყვებს: *sapere aude!* (გაბედე ცოდნა!).

ძქიღსთიანთჲ მქთიანოჲისათჳის ღოცჳჲ ჯათჴჴჴი

25 იანვარი ქრისტიანთა ერთიანობისათვის რვადღიანი ღოც-ვის ბოლო, შემაჯამებელი დღე იყო. მამა გაბრიელე ბრავანტინიმ წინადადებით მიმართა ბათუმის სულიწმინდის ევანგელურ–პროტესტანტული ეკლესიის პასტორს, ვარლამ რამიშვილს, რათა დასკვნითი ღოცვა მათ ეკლესიაში ჩატარებულიყო. პასტორმა სიხარულით მიიღო ეს წინადადება. ასევე დავუკავშირდით სომხუ-რი სამოციქულო ეკლესიის მოძღვარს, მამა არარატს, ბათუმსა და ქობულეთში მოღვაწე სხვადასხვა დენომინაციების პროტესტან-ტული საკრებულოების ზუცესებს და საერთო ღოცვაზე მოვიწ-ვიეთ. ყველა სიხარულით დათანხმდა ამ წინადადებას.

25 იანვარს, საღამოს 5 საათზე შევიკრიბეთ ევანგელურ ეკლესიაში; აღსანიშნავია, რომ ჩვენს საკრებულოებს შორის დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობაა. პასტორი ვარლამი და მისი მრევლის წევრები კათოლიკურ ეკლესიაში ხშირად ესწრე-ბიან სადღესასწაულო წირვებს, ხოლო პასტორ გენადის და მის მრევლს ბათუმის ეკლესიამ ღვთისმსახურებისათვის საკონფე-რენციო დარბაზი დაუთმო. ჩვენი ეკლესია ცდილობს, მეგობრუ-ლი ურთიერთობა დაამყაროს იმ ქრისტიანულ საკრებულოებ-თან, რომლებიც ქრისტეს სახელით ეწევიან ღვთისმსახურებასა და ევანგელიზაციას.

ღოცვაზე ერთად შეკრებილი ღვთისმსახურები და მორწმუ-ნეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ კარგი იყო მორწმუნე ძმების ერთად ყოფნა. ღოცვა პოლონეთში შემუშავებული პროგრამის მიხედვით წარიმართა, ისე რომ თითოეული მოძღვარი მაქსიმა-ლურად ჩართულიყო ღოცვის მსვლელობაში. საგალობლებს ასრულებდნენ კათოლიკური და ევანგელური ეკლესიების მგა-ლობელთა გუნდები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა

ძქიღსთიანთჲ სჲმქთო ღოცჳის ჰჳიჩჴჴღი სტაჲჲღჴი

წილად მხვდა ბედნიერება, მონაწილეობა მიმეღო ქრის-ტიანთა საერთო ღოცვის კვირეულში, რომელიც 2012 წლის იანვარში, თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიმართა. ღოცვა დაიწყო 14 იანვარს, სტამბულის ლათინური წესის კათოლი-კეთა კათედრალში და დასრულდა 21 იანვარს, იეშილქოის წმ.სტეფანეს ბერძნულ ეკლესიაში. ღოცვის კვირეულს სხვა-დასხვა ქრისტიანულ კონფესიათა ეკლესიები მასპინძლობდა: რომაულ კათოლიკური (სომხური და ლათინური წესისა), სომ-ხურ-სამოციქულო (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო), ასი-რიულ-იაკობიტური, მსოფლიო საპატრიარქო, ანგლიკანური (თურქული და ინგლისური თემები), ლუთერული (გერმანული და შვედურ-ფინური საკრებულოები), სომხური პროტესტან-ტული, ჰოლანდიური და პრესვიტერიანული საკრებულოები.

ყველა მასპინძელ ეკლესიას მომზადებული ჰქონდა მწუხ-რის ღოცვის მსგავსი საერთო ღოცვის პროგრამა. სტამბულში მყოფმა აკრედიტებულმა დიპლომატებმა თავიანთი სტუმრო-ბით ინტერესი გამოხატეს თურქეთში არსებული ქრისტი-ანული ეკლესიების ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ. ღოცვის დასრულების შემდეგ, მონაწილეთათვის იმართებოდა საზეიმო მიღება. სტამბულის იეშილქოის რაი-ონულმა გამგეობამ ღოცვის კვირეულისთვის გამოყო უფასო ავტობუსი, რათა ქრისტიანებს ქალაქის ფარგლებში შესძლე-ბოდათ გადაადგილება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. ნამ-დვილად მისასალმებელი ქმედებაა.

კათოლიკური ეკლესიის საგალობელმა – „ნავი“.

ღვთის სიტყვის მოსმენის შემდეგ, მოძღვრებმა მოკლე ქა-დაგებით მიმართეს მრევლს. მათ ქადაგებაში ხაზგასმული იყო ქრისტიანთა ერთიანობის საჭიროება და მისკენ სწრაფვა. აღი-ნიშნა, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, ყველანი წარმოვად-გენთ ქრისტეს ერთიანი სხეულის ნაწილს.

ღოცვის მთავარი სლოგანი იყო წმიდა პავლეს სიტყვები კო-რინთოს საკრებულოს მიმართ: „ყველანი შევიცვლებით... რო-მელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“ (1კორ. 15.51–58). ყოველი ღოცვის შემდეგ, ნიშნად ერთობისა და განახლებისა, თითოეული მოძღვარი საკმეველში ამატებდა გუნდრუქს.

ღოცვის დროს შეგროვდა შესანირავი, რომელიც, საერთო გადანყვებილებით, უსახლკაროთა დასახმარებლად გადაეცა ბათუმის ღამის თავშესაფარს.

25 იანვარი წმ. პავლეს მოქცევის დღეა. ღოცვის დასასრულს, წაკითხულ იქნა წმ. პავლეს მოწოდება კორინთოს საკრებულო-სადმი და ყველა – მოძღვრებიც და მორწმუნეებიც – ღოცვით შეუერთდა ამ მოწოდებას.

ღოცვის შემდეგ, მასპინძლებმა საზეიმო ტრაპეზზე მიგვიწ-ვიეს. ერთმანეთს გავუზიარეთ ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილე-ბები და ღმერთს მადლობა შევწირეთ ამ მშვენიერი საღამოსთ-ვის, იმისთვის, რომ ერთად შეგვეკრიბა ქრისტიანი ძმები.

დასასრულს, ყველამ გამოხატა მზაობა, რათა მომავალშიც გაგრძელდეს ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილი ღოც-ვები.

თენგიზ პარმაძისი**იშვილი**

ღოცვის პროგრამა ასეთი იყო:

14 იანვარი – წმინდა ესპირიტის კათოლიკური კათედრალი (ლათინური წესი)

15 იანვარი – ჰოლანდიური სამლოცველო

16 იანვარი – სომხურ-კათოლიკური კათედრალი

17 იანვარი – ევანგელურ-ლუთერული ეკლესია (გერმანუ-ლი თემი)

18 იანვარი – ანგლიკანური ეკლესია (თურქული თემი)

19 იანვარი – ასირიულ-იაკობიტური ეკლესია

20 იანვარი – სომხური სამოციქულო ეკლესია

21 იანვარი – ბერძნული სამოციქულო ეკლესია

საერთო ღოცვის კვირეულის დაწყებისას, სტამბულის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ვიკარიატის ეპისკოპოსმა, მონსინიორ ლუის პელატრემ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს ქრისტიანთა შორის მჭიდრო კავშირის შექმნას, რაც მეტად აუცილებელია თურქეთში მცხოვრები ქრისტიანებისთვის.

საერთო ღოცვის დასკვნითი მიმართვა გააკეთა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა აპოსტო-ლოსმა. მსოფლიო საპატრიარქო ხელს უწყობს ასეთ ღოცვებს და მომავალშიც შეუწყობს ხელს! – აღნიშნა მან.

მოამზადა ბათუ-ანდრია დარჩია

ძველი ღმერთი დათყვემებული მღვდელთმთავარი

ე ვ რ ო პ ა - ში ყველაფერი შემიძლია, არ შე-მიძლია მხოლოდ ერთი მოხუცის თვითნებობის გა-ტეხვა, რომელიც თავის თავს ძველი ღმერთის მომაგიერედ ასახე-ლებს: დაე ეგრე იყოს, დაე თავისი ნების გაუტეხლად მოკვდეს პატიმრობაში! წარმოს-თქვა ნაპოლეონმა.

მღვდელმთავარს დიდად საპატიო სახეზე მრისხა-ნება ემჩნეოდა! დიდებული ხელმწიფევ! უთხრა მან, ნება მომეცით გიჩვენოთ ის ხელი, რომელიც თქვენ შეგმუსრავთ!

იმპერატორი გაოცებული შეჰყურებდა მის წინ მდგარი მოხუცის უეცრად შეცვლილ სახეს, ის ძველი სჯულის წინასწარმეტყველისავით გამართული იყო, როგორც ზებუნებრივი ნათლით მოსილი. ხოლო ნა-პოლეონის თვალნი, რომელნიც უძლიერეს მხედართა გაველურებულ გულებსაც კი ათრთოლებდნენ, ეხლა შიშით ძირს იცქირებოდნენ! ილაპარაკეთ, ყურს გიგ-დებთ, სთქვა მან.

მემუქრებით! დაიწყო ლაპარაკი პიომ, რომ ტყვე-ობაში მომკლავთ, ეკლესიას დევნაში ამყოფებთ და თქვენი ნების დამყოლ სარწმუნოებას დააფუძნებთ, მაგრამ რაც თქვენ გინდათ უძლიერესმა მმართველებ-მაც კი ტყუილ უბრალოდ სცადეს.

რომის კეისრებმა – მთელი ქვეყნის მპყრობელებმა სამასი წელი სდევნეს ქრისტიანები. მღვდელმთავარ-ნი ამოწყვიტეს, მორწმუნენი სტანჯეს და 12 მილიონი ქრისტიანი ამოწყვიტეს, მაგრამ რა შედეგი მიიღეს? ქრისტეს მოძღვრება არ მოისპო. პირიქით, ის დევნი-ლობიდან ქარიშხლად გადაიქცა და ღვთიური სიტყვის თესლი ბევრ შორეულ ადგილას წაიღო. წამებულთა სისხლისაგან ახალი ქრისტიანები იშობნენ! სწორედ იმ ძველმა ღმერთმა თავისი დაპირება დაიცვა, დაიფარა ყოველ მტერთაგან ეკლესია.

სად არიან დღეს ის ქვეყნის მფლობელნი? რომის იმ-პერატორებიც გაუჩინარდნენ, აღარ არის მათი ქვეყ-ნის მმართველობაც, ყველაფერი დაიქცა, მათ შორის წარმართული საკერპონიც, რომლებსაც ეს ქვეყნის მფლობელნი მთელი ძალით ემსახურებოდნენ! ხოლო ეკლესია დღესაც მტკიცედ არსებობს – სთქვა პაპმა და განაგრძო: აგრეთვე შუა საუკუნეებში გამოჩნდნენ ძლიერი იმპერატორნი, რომლებიც მღვდელმთავარს (პაპს) წინ აღუდგნენ, დაუწყეს დევნა ეკლესიას და მის

მეთაურს, მაგრამ ისევ ღვთიურმა მარჯვენამ, რომელიც იფარავს ეკლესიას, მისი მტერნი დალე-წა და დაამსხვრია.

თქვენ თვითონ, დიდებული ხელმწიფევ, ამავე სამ-სახურში მყოფი ჩემი წინამოსაყდრე, კეთილ მსახური პიო მე-6 წაიყვანეთ ტყვედ.

გინდოდათ, რომ პიო მე-6 ასე ტყვედ მომკვდარიყო, მეც აგერ უკვე ოთხი წელია დატყვევებული გყავართ! ამ ხანებში ენით გამოუთქმელი სიმწარენი გამოვიარე, ზოგჯერ მეგონა, რომ სიკვდილი ბოლოს მოულებდა ჩემს ტანჯვას, მაგრამ ხედავთ – ცოცხალი ვარ! დიახ ცოცხალი ვარ და უნდა ვნახო, თუ როგორ შეგმუს-რავთ ძველი ღმერთის მკლავი, თქვენი საწყაო უკვე ავსილია ბევრს ველარ გასწევს, ეკლესიის მღევნელთა ხვედრის მონაწილე უნდა გახდეთ!

პაპი სკამზე დაჯდა, კეისარი გაველურებული თვა-ლებით უყურებდა პატივსაცემ მოხუცს. კართან მდგო-მი სახლის მცველი მთლად კანკალებდა. მას პაპი ზეციური ნათლით მოსილ არსებად მიაჩნდა. ხოლო ნა-პოლეონს უყურებდა, როგორც ქვესკნელის საზარელ სულს.

ნაპოლეონმა მრისხანედ დაიყვირა, – ძველი ღმერთი მხოლოდ სულელთ შემუსრავს და არა კეისარს. თქვენ კი უფალო მღვდელმთავარო, ჩემმა რისხვამ უნდა შეგ-მუსროს!

ამის თქმის შემდეგ გაბრაზებული ნაპოლეონი შებ-რუნდა და წავიდა! იმ ღამეს მან ვერაფრით ვერ მოის-ვენა, თავის სახლში დადიოდა და რალაც გაუგებარს ლაპარაკობდა, სასახლის მცველმა ცხადად გაიგონა ასეთი დაძახილი: „განა ძველმა ღმერთმა მე უნდა შემ-მუსროსო!“

– ჰა, ჰა! არაფრად ვთვლი მე ძველ ღმერთს, არც განვლილ დროთა მთელ მოვლენებს, – ამბობდა ის.

ორი წლის შემდეგ, წმინდა ელენეს კუნძულზე გადა-კარგული იყო, ოდესღაც ქვეყნის მპყრობელი ნაპოლე-ონი. ტიალი, თითქმის სულ უდაბნო იყო ის კუნძული, მაჩრდილებელი ხე არსად იდგა. ზოგგან იყო წვრილი ვაკე ადგილები; ეს კუნძული შუა ოკეანეში ყველგან კლდეებით იყო გარშემორტყმული. რალაც საშინელი სატყვეო ადგილი იყო!

ზღვასთან ახლოს ერთი ხშირი ფოთლიანი ძეწნი გაზრდილიყო, რომლის გრძელი და ძირს დაშვებული ტოტები, კეისარს ცოტა ჩრდილს აწვდიდა. იგი საათო-ბით იჯდა იქ და ოკეანის ღელვას უყურებდა, მთელ სივრცეს ათვალიერებდა!

(გაგრძელება იქნება)

ავტორი კონრად ბოლონდენელი მესხის იოანე მღვდელ გვარამაძის მიერ ნათარგმნი

(მოამზადა გიორგი როსტომაშვილმა)

სიქსტეს მადონა და რუსუცი კუცტურა

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ 2011, № 9-11)

„ცხოვრობდა ერთი ღარიბი რაინდი“ (1829) – ეს კიდევ ერთი ცნობილი ლექსია, სადაც მოთხრობილია თავმდაბალი და მშვიდი, ღარიბი და სევდიანი რაინდის ისტორია, რომელსაც, ხეტიალის დროს, ჟენევასთან ახლოს, პედმა არგუნა ღვთისმშობლის ხილვა; ამ დღიდან მოყოლებული, იგი მხოლოდ მისთვის იბრძვის, „*რწმენითა და სიყვარულით სავსე, / მისი ხილვის ერთგული, / თავის ხმალზე სისხლით დაწერს: / დიდება, ღვთისმშობელს*“. პალესტინაში, მაშინ როდესაც სხვა რაინდები თავიანთ სატრფოთა სახელებს წარმოთქვამდნენ მუსულმანებთან შეტაკებისას, იგი ამბობდა: „**Lumen coelum, sancta Rosa!**“ – ეს შედანილი ქრისტიანული რწმენის მოძულეებს გულს უგმირავდა. საკუთარ სასახლეში დაბრუნებული, დარჩენილ წლებს ღვთისმშობლისადმი ლოცვაში ატარებდა, და როდესაც სიკვდილის ჟამი მოახლოვდა და ბოროტი სული ცდილობდა მის დაპატრონებას, უწმიდესი ქალწული შეენია მას და იგი „უფლის სამარადისო სამეუფოში“ წაიყვანა. ამ ლექსის ფინალი, რალაცნარიად მოგვეპოვნება „ფაუსტის“ ეპილოგს, სადაც მარგარიტა უწმიდეს ქალწულს ევედრება, გადაარჩინოს ფაუსტი და გაუძღვეს მას ზეციური სამეფოსაკენ. **Mater Gloriosa** შეისმენს მის ვედრებას, ხოლო ანგელოზთა გუნდი უგალობს „მარადიულ ქალწულს“, როგორც ერთადერთ, ჭეშმარიტ რეალობას, – წუთისოფლის ილუზიის საპირისპიროდ, – რომელსაც ხელენიფება, თავისი უსასრულო გულმონყალებით, რეცაში აიყვანოს კაცთა სულები. სწორედ ეს „მარადიული ქალწული“ დაინახეს რუსმა მხატვრებმა და მოაზროვნეებმა სიქსტეს მადონაში გასაოცრად გამოსახული, ამიტომაც უყვარდათ იგი და ეთაყვანებოდნენ მას. მათ რიგებში იყვნენ რუსი მწერლები და პოეტები: გოგოლი, ტურგენევი, ლერმონტოვი, სხვა ნაკლებად ცნობილ პირებთან ერთად, რომელთა შორისაა პ. ვ. ანენკოვი, პუშკინის მთელი შემოქმედების კურატორი; ევროპაში თავისი მოგზაურობის დროს, მან მოინახულა დრეზდენის გალერეა და რაფაელის ღვთისმშობლის წინაშე უდიდესი ემოცია განიცადა:

„აჰა, ზეციდან ჩამოდიხ ქალბატონი, ვისთვისაც წუთისოფელში საიდუმლო არ არსებობს; ის, ვინც უწყის ყოველივეს დასაბამი და სასრული, დასაბამი და სასრული იმისა, რაც იყო, და რაც იქნება. შთამბეჭდავია... ხელში ყრმა უჭირავს, რომელიც ოდესღაც განიკითხავს წუთისოფელს, და მან უწყის ამ ჟამის დადგომა. რამხელა არაადამიანური სიბრძნე გამოსჭვივის მისი მზერიდან, რამხელა ფიქრი...“.

XIX საუკუნის II ნახევარში კვლავ დაიწყო რაფაელის მისამართით რეაქციული მოძრაობა და განახლდა საუბარი სიქსტეს „მაგიაზე“, რომელსაც გარდასული დიადი ეპოქის – იტალიური რენესანსის შედევრად მიიჩნევდნენ რუსეთში, რვაასიანი წლებს II ნახევარში. ამ ახალ პანორამაში თავსდება ლიტერატურის კრიტიკოსის ბ. ბელინსკის მოსაზრება, რომლის მიერ აღწერილი რაფაელის ღვთისმშობელი უფრო ადამიანურია, უფრო ამქვეყნიური. თავის ესეში „მზერა რუსული ლიტერატურისაკენ“ (1847б.) ბელინსკი მესამე პირში მოგვითხრობს *სიქსტეს მადონას* ნახვის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ, და დასძენს, რომ, ცნობილ ტილოსთან მიახლოებისას, მასაც იგივე განცდა დაეუფლა, რაც ჟუკოვსკის:

„რაც უფო დაჟინებით აცქერდებოდა ამ სურათს, რაც უფრო მეტს ფიქრობდა იმ დროს და მერე, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ რაფაელის მადონა და ჟუკოვსკის მიერ აღწერილი რაფაელისეული ღვთისმშობელი ორი სრულიად განსხვავებული სურათი იყო, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ერთმანეთთან, არანაირი მსგავსება. რაფაელის მადონას ფიგურაში არაფერია რომანტიკული, ის შესრულებულია კლასიკური ნორმების ზუსტი დაცვით. მისი სახე იმ სილამაზეს გამოხატავს, რაც თავისთავად არსებობს, ისე რომ ეს მომხიბვლელობა არაა ნახესხები რომელიმე სახის ზნეობრივი გამომეტყველებიდან. პირიქით, ამ სახეზე ვერაფერს წაიკითხავ. ღვთისმშობლის სახე და მთლიანად მისი ფიგურა შესრულებულია უზადო კეთილშობილებითა და ღირსებით. ეს მეფის ასულია, გამსჭვალული თავისი მაღალი ნოდებისა და საკუთარი ღირსების შეგნებით. მის მზერაში არის რალაც მკაცრი, თავშეკავებული, მასში არ ჩანს გულმონყალება და დიდსულოვნება, არც ამპარტავნება და სიძულვილი,

მაგრამ, ამ ყველაფრის ნაცვლად, გამოსჭვივის რალაც დაუფინყარი, საკუთარი სიდიადის შეწყნარება; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის *l'idéal sublime du comme il faut* (სილამაზის უმაღლესი იდეალი), მაგრამ არა მოუხელეთებული, იდეშალი, ნისლიანი რომანტიკული ფერები; პირიქით, ყველაფერში ისეთი მკაფიო, ცხადი განსაზღვრულობა, სისრულეა, ისეთი ზედმიწევნით ზუსტი, უზადო მოხაზულობა და, ამასთან, ფუნჯის როგორი კეთილშობილი და ნატიფი მონასმი! ამ სურათზე რელიგიური ხედვა აღიბეჭდა მხოლოდ ღვთაებრივი ყრმის სახეზე, მაგრამ ეს ხედვა დამახასიათებელია მხოლოდ იმდროინდელი კათოლიციზმისთვის. ყრმის წინაშე მდგომთა მიმართ (ვეფიქრობ, სურათის მზირალთა) განვიღილ ხელებში, მის ფართოდ გახელილ თვალებში მრისხანება და მუქარა იკითხება, ხოლო ქვედა ტუჩზე დამცინავი ქედმაღლობა გამოკრთის. ეს არაა მიმტევებელი და გულმონყალე ღმერთი, არც სამსხვერპლო კრავი, რომელმაც იტივრთა წუთისოფლის ცოდვები, – ეს არის ღმერთი განმკითხველი და დამსჯელი... აქედან ჩანს, რომ ყრმის ფიგურაში არაფერია რომანტიკული; პირიქით, მისი მზერა ისეთი უბრალო და განსაზღვრულია, ისეთი შესამწნევი, რომ მაშინვე ნათლად აღიქვამ მას, რასაც ხედავ“.

ბელინსკი თვლიდა, რომ *სიქსტეს მადონა* არ იყო მხატვრის მიერ გაცდილი „სასწაულებრივი წუთების“ ნაყოფი. იგი უბრალოდ „მეფის ასულია“, არც გულმონყალე, და არც დიდსულოვანი..., თუმცა არასოდეს „ივინყებს თავის სიდიადეს“. ხოლო ყრმაში ბელინსკი ხედავს „ღმერთს, რომელიც განიკითხავს და სჯის“, მის მზერაში არის „მრისხანება და მუქარა“. და აჰა, ერთი მხრივ, დგას ჟუკოვსკის გამოცდილება და, მეორე მხრივ, ბელინსკის, რითაც არა მხოლოდ მჟღავნდება ერთის რომანტიზმი და მეორის რეალიზმი, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მჟღავნდება წყალობა, რომელიც – პირველის მიერ გადმოცემული – მეორეს არ გააჩნია, აღბათ იმიტომ, რომ ამგვარი გამოცდილებას გული არ გადაუშალა. ბელინსკის, რომელიც ხელოვნების სოციალურ საჭიროებაზე ღაღადებდა, არ გააჩნდა შინაგანი თავისუფლება, თუმც მხოლოდ მას შეეძლო მიენიჭებინა მისთვის ის თავისუფალი და ავთენტური ხედვა, რაც რაფაელმა გამოხატა სიქსტეს მადონაში, ანუ მან ვერ შეძლო მხატვრის სულის განჭვრეტა იმ წუთებში, როდესაც იგი ტილოზე საკუთარ შინაგან ხილვას გადმოსცემდა. ბელინსკის გარდა, *დრეზდენის მადონა* არც ნიკოლოზ I-ის რეჟიმის მონინაალმდევის, რუსი პროზაიკოსისა და პუბლიცისტის, გერცენისთვის წარმოადგენს ხატებას; გერცენი სამუდამოდ იქნა გადასახლებული რუსეთიდან და ის უცხოეთიდან ებრძოდა გლეხთა მონობას. 1840 წლით დათარიღებულ წერილში იგი ასე აღწერს *სიქსტეს მადონას*: „ეს უბრალო გოგონაა, ქალბატონი სევდიანი და სულგრძელი მზერით...“, ხოლო ნ. პ. ოგარიოვი, გერცენის მეგობარი, პოეტი და კრიტიკოსი, რაფაელის მადონას შესახებ შემდეგს წერს:

„მან თავი აიძულა, შეექმნა სახე აშკარად უცოდველი ქალისა, რომელიც ვერ აცნობიერებს იმას, რაც მასში აღსრულდა – ღვთისადმი მსხვერპლად შეწირვა, სიყვარულით სავსე მორჩილება – მოკლედ, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ჩადებული ყოფილიყო კათოლიკური სწავლების საფუძველში ნმიდა ქალწულის შესახებ“.

და კიდევ:

„...ეს სევდიანი და ფიქრებით მოცული ყრმაა, რომელიც თავის დიად მომავალს ჭვრეტს, მისი ბრძნული მზერა, რომელშიც იგრძნობა ფიქრი, მნახველისაკენ არის მიმართული; გეგონება, ყრმას თავის ზეციურ საიდუმლოზე სურს მასთან საუბარი ... ღვთისმშობელი, აშკარად გზადაგზა იქმნებოდა ხელოვანის ცნობიერებაში. ფოლინოს მარიამიდან დაწყებული, დრეზდენის ღვთისმშობელი იდეალის უზენაესი გამოხატულებაა. უბიწო ღვთისმშობელმა არ იცის მასში აღსრულებული მოვლენის შესახებ, არ იცის, რომ მის ხელებში მყოფი ბავშვი ღვთაებრივი ყრმაა. მისი მზერა ყრმისკენ კი არაა მიმართული, არამედ უსასრულობაში იძირება“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(*ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა*

რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა მამა გაბრიელე პრაგანტინი

პალმოსდილი ჟურნალისტის გახსენება

ქუთაისის „პრესის სახლი“-ს სააქტო დარბაზში შეკრებილმა ქალაქის ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს გამოჩენილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ბ-ნ გივი მეფისაშვილის ხსოვნას. შეხვედრა გაიმართა ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირისა და გაზეთ „P.S.“ (პოსტსკრიპტუმის) რედაქციის თაოსნობით. მოწვეული იყვნენ გაზეთ „ქუთაისის“ ყოფილი თანამშრომლები, ქუთაისში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის მოძღვარი გაბრიელე ბრაგანტინი, ქალაქის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ტრადიციულ კათოლიკე ოჯახთა შორის გამოირჩევიან მეფისაშვილების გვარის წარმომადგენლები, რომელთა შორის ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღიზარდა. ბატონი გივიც ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მან, სრულიად ახალგაზრდამ, აირჩია ჟურნალისტის საპასუხისმგებლო და რთული გზა. 16 წლის ჭაბუკმა მუშაობა დაიწყო საქალაქო რადიომაუწყებლობის რედაქციაში, სტუდენტობის წლებში კი უკვე გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, წარმატებით გააგრძელა ჟურნალისტური მოღვაწეობა. მისი აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ გივის ბიძას – ცნობილ პედაგოგს, ნიკო მეფისაშვილს.

სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ალექსანდრე შენგელია, რომელმაც ისაუბრა ბატონ გივის პიროვნებაზე, მის პროფესიონალიზმსა და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაზე. აღნიშნა, რომ იგი იყო უაღრესად კეთილი, ყველას დამხმარე, მზრუნველი და თანამგრძნობი.

საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტმა, პროფესორმა ლევან სვანაძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა მისი, როგორც რაფინირებული ინტე-

ლიგენტის, შინაგანი კეთილშობილების შესახებ, რაც დიდ მომხიბვლელობას ანიჭებდა გივი მეფისაშვილის პიროვნებას. საზოგადოების წინაშე საინტერესო და გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ: პროფესორი სიმონ არველაძე, გაზეთ „კუტაისსკაია პრავდა“-ს ყოფილი რედაქტორი ბიჭიკო ზვიადაძე, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი ნანა გვეტაძე, ბატონები ნუგზარ მჭედლოშვილი, ალექო ბაძგარაძე, ქუთაისის კათოლიკური საკრებულოს ღვანღმოსილი წევრი, ბატონი ოთარ კაჩუხაშვილი და სხვები.

ნიჭიერი ჟურნალისტი, მწერალი-პუბლიცისტი, ათამდე წიგნის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფის ავტორი, მეცნიერ-მკვლევართა თანამდგომი და მეგობარი, ახალგაზრდა შემოქმედთა მოამაგე და ქომაგი – ასე ახასიათებდნენ მას სიტყვით გამოსული თანამედროვენი. გივი მეფისაშვილი ათეული წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორობის წლები. დიდი სითბოთი და პატივისცემით იხსენებდნენ კოლეგები მის მაღალ პროფესიონალიზმს, პიროვნულ ხიბლს, სულიერ სიმდიდრეს.

გივი მეფისაშვილის მეუღლემ, ქალბატონმა მედეა დევდარიანმა უღრმესი მადლობა გამოთქვა იმ სიყვარულისათვის, რაც საზოგადოებამ გამოხატა მისი მეუღლის მიმართ; შეხვედრის მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ ჟურნალისტის წიგნები – „ქუთაისური იუმორი“ და „საქართველოში მოღვაწე ებრაელები“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ ისაუბრა იმ სიკეთეზე, რაც წლების გასვლის შემდეგ კი არ გაფერმკრთალდა, არამედ სამუდამოდ დარჩა მაღლიერი შთამომავლების მეხსიერებაში.

ოთარ კაჩუხაშვილი

ნატა პარლამიშვილი

განუსვენე მათ, უფალო!			
			
აბასი ტონაინი	იორდანა გიძოშვილი	მამყალა გააოშვილი	
* 17.01.1939 – სომხეთი	* 06.01.1934 – უღე	* 03.04.1940 – უღე	
† 12.02.2012 – თბილისი	† 15.02.2012 – უღე	† 08.02.2012 – უღე	

სარჩევი

რედაქციის გვერდი	2
კათოლიკე ეკლესია	
მსოფლიოში	3
კათოლიკე ეკლესია	
საქართველოში	5
სიცოცხლის დღე.....	8
ქრისტიანული ოჯახი.....	11
ინტერვიუ.....	12
რაითა ყოველნი ერთ იყვნენ.....	14
საარქივო მასალები.....	15
ფიქრები სიქსტეს მადონაზე.....	16
ინფორმაცია.....	17
ახალგაზრდული გვერდი.....	19
საგანგებო ჩანართი	I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვაჟა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, ვია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2012


გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოქალაქეობა ეფესოსა და ქაპადოკიაში

საქართველოში ლათინური წესის კათოლიკეთა ადმინისტრაციის ეკუმენური და კულტურული კომისიის სახელით, გაუწყებთ, რომ ა.წ. 25 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით დაიგეგმა მომლოცველობა თურქეთში, კერძოდ: ეფესოსა და კაპადოკიაში.

მომლოცველობა, პირველ რიგში, გამიზნულია ჩვენი საკრებულოს მორწმუნეებისთვის, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი და ეთანხმებიან პროგრამას. მსურველთა ჩანერა დასრულდება 10 აპრილამდე. სულ 40-მდე ადგილია. მოგზაურობის ღირებულება შეადგენს 250 დოლარს. მსურველმა ჩანერის მომენტში უნდა გადაიხადოს 150 დოლარი. მას პასპორტი მონესრიგებული უნდა ჰქონდეს. დარჩენილი 100 დოლარი უნდა გადაიხადოს მოგზაურობის დაწყებისას. უკვე გადარიცხულ თანხას, უკან გატანის სურვილის შემთხვევაში, ვერ დაუბრუნებენ. მოგზაურობის საფასურში (250 დოლარი) შედის მძღოლისთვის განკუთვნილი თანხა, საწვავის, დაზღვევისა და სასტუმროში ყოფნის (საუზმე და ვახშამი) ხარჯი. სასტუმროში არის ორადგილიანი ოთახები. სხვა ხარჯებზე, კერძოდ, კვება სასტუმროს გარეთ და მოგზაურობის დროს, ასევე, მუზეუმების დათვალიერება და გიდის მომსახურება, თავად მომლოცველებმა უნდა იზრუნონ;

მომლოცველობაზე პასუხისმგებლები არიან მ. გაბრიელე ბრაგანტინი და მ. პიერ დიუმულენი. ინფორმაციისათვის მიმართეთ თქვენი საკრებულოს წინამძღვარს.



საქართველოს ათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

იგავი ცოდვითა მიტევების შესახებ

ცხოვრობდა ერთი კაცი. ცხოვრობდა, ცხოვრობდა და შემდგომ, როგორც ხდება ხოლმე, გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ, მან აღმოაჩინა, რომ სხეული აღარ ჰქონდა, მხოლოდ სულია დარჩენილიყო – გამჭვირვალე სული, რომელშიც ყველაფერი ჩანდა.

დალონდა კაცი. სხეულის გარეშე რაღაც არასასიამოვნო და უხერხული გახდა მისი არსებობა. მის გამჭვირვალე სულში ფერად-ფერადი თევზებივით დაცურავდნენ მისივე ფიქრები, ოდესღაც ნაფიქრალი. ყველა მისი მოგონება კი სულის ფსკერზე დაღეჭილიყო – შეგეძლო მისულიყავი და შეგეთვალიერებინა, თუ გინდოდა.

იმ მოგონებებს შორის, ზოგი სასიამოვნო იყო, ზოგი კი – უსიამოვნო. იყო ისეთიც, რომელთა დანახვაც კაცს შიშის ზარსა სცემდა. გადანყვითა, გამოებერტყა ეს ცუდი მოგონებები თავისი სულიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ ლამაზი მოგონებები ზემოდან დააღაგა, ცუდები კი ქვემოთ ჩატენა და, დანიშნულებისამებრ, გაუდგა გზას.

ღმერთმა თვალი შეავლო კაცს, მაგრამ არაფერი უთქვამს. კაცმა იფიქრა, ალბათ, სიჩქარეში ვერ შენიშნა ჩემი ცუდი მოგონებებიო და გახარებული სამოთხისკენ გაეშურა, რადგან ღმერთს სამოთხის კარი არ მიუხურავს მისთვის.

გავიდა დრო. ძნელი სათქმელია, რა დრო გავიდა, რადგან იქ დროთა მსვლელობა სხვაგვარია, არა ისეთი, როგორიც დედამიწაზე. კაცი ღმერთთან დაბრუნდა.

– რატომ დაბრუნდი? – ჰკითხა ღმერთმა, – მე ხომ არ მიმიხურავს შენთვის სამოთხის კარი?

– უფალო, – უპასუხა კაცმა, – ძალიან ცუდად ვარ შენს სამოთხეში; ნაბიჯის გადადგმისაც კი მეშინია; კარგი იმდენად ცოტაა ჩემს სულში, რომ ვერ ფარავს იმ ცუდს, რომელსაც ვატარებ. ჩემს სიცუდეს ყველა ხედავს; მეშინია.

– რა გსურს ჩემგან? – ჰკითხა სამყაროს შემოქმედმა.

– შენ ყოვლისშემძლე და მონყალე ხარ, უფალო, – უპასუხა კაცმა, – ჩემი სულის ყველა კუნჭული იხილე, მაგრამ არ შეგიჩერებია, როცა ჩემი ცოდვების და-



ფარვას ვცდილობდი. მოიღე მონყალე, მომაშორე ყოველივე ცუდი, რაც ჩემშია.

– სულ სხვას ველოდი შენგან, – უთხრა ღმერთმა, – მაგრამ შეგისრულებ, რასაც მთხოვ.

მოაშორა ღმერთმა კაცის სულს ყველაფერი, რისიც მას რცხვენოდა: დაავიწყა მოგონებები ლალატსა და გაუტანლობაზე, სიმხდალეზე, სიცრუესა და ცილისწამებაზე,

სიხარბესა და სიზარმაცეზე. მაგრამ კაცს, სიძულვილთან ერთად, სიყვარულიც დაავიწყდა; წარუმატებლობებთან ერთად კი, წარმატებებიც წაიშალა მისი მეხსიერებიდან. იდგა ღმერთის წინაშე სული – სრულიად გამოცარიელებული.

მაგრამ ღმერთი მონყალე იყო და ისევ დაუბრუნა სულს ყველაფერი, რაც მას ავსებდა. მაშინ ხელახლა ჰკითხა კაცმა:

– მითხარი, უფალო, როგორ მოვიქცე? თუკი კეთილი და ბოროტი ასე გადაჯაჭვულნი ყოფილან ჩემში, სად ნავიდე? ნუთუ ჯოჯოხეთში?

– სამოთხეში დაბრუნდი, – უპასუხა ღმერთმა.

კაცი დაბრუნდა სამოთხეში, მაგრამ გავიდა დრო და კვლავ მივიდა იგი ღმერთთან.

– შემოქმედო! – უთხრა კაცმა, – შენს სამოთხეში ცუდად ვარ. ყოვლისშემძლეო და მონყალეო, შემიბრალე, მომიტევე ჩემი ცოდვები.

– კარგი, მოგიტევე! – უპასუხა უფალმა.

ღმერთმა მიუტევა კაცს მისი ცოდვები და კაცი დაბრუნდა სამოთხეში. მაგრამ გავიდა ხანი და ის კვლავ მივიდა ღმერთთან.

– ახლა რაღას მთხოვ? – ჰკითხა ღმერთმა.

– შემოქმედო! ცუდად ვარ შენს სამოთხეში. ყოვლისშემძლე ხარ და მრავალმონყალე. შენ ჩემი ცოდვები მომიტევე, მაგრამ მე ვერ ვპატიობ საკუთარ თავს. გთხოვ, დამეხმარე!

– ველოდი ამას, – უპასუხა ღმერთმა, – მაგრამ ეს ის ქვაა, რომელიც შენ თავად უნდა ასწიო...

სერგეი ლუკიანენკო
თარგმნა რუსუდან მალიანმა



პირველი ზიარება არლის საკრებულოში



2 თებერვალი – მირქმა



უკვე მერამდენე წოდების „ასალმა რომა“, მართლმადიდებელმა რუსეთმა საქართველოს სრული რუსიფიკაცია მოახდინა... ერთადერთი, ვინც ინკულტურაციული ენობრივი და კულტურული მოდელით მოქმედებდა იმ დროის საქართველოში, ეს იყო სწორედ კათოლიკური ეკლესია, რომელმაც, რუსული ზემოქმედების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა სამრევლო-რელიგიურ საქმიანობაში, ადმინისტრირებაში ქართული ენა (გვ. 12).

ნინო დობორჯგინიძე,
ნოდარ ლაღარია



ვალეს საკრებულოს ახალგაზრდები ბაკურიანში